# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 იანვარი 1999 №13 (786) | ფასი 50 თეთრი

2

## ნემსაძე: პირველი ქართველი იტალიაში

გიორგი დღეს სერია B-ს „რეჯანაში“ ჩაირიცხება



7

## საბჭოთა ნაკრების პირველი ქართველი მცველი

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

### გივი ჩოხელი



კაცი, რომელსაც ჩილეში ლევ იაშინის ცოდვა დააბრალეს



11

## შესაძლოა ეს შეთქმულება იყო

სოკ-ში პრეზიდენტის სავარძლისთვის იბრძვიან




# გრაფი — სელეში



REUTERS

## სიძულვილის ისტორია?

გუშინდელი მეოთხედფინალებიდან ერთი მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა — ერთმანეთს წარსულის დიდი ჩემპიონები, „ოუფენის“ ოთხ-ოთხგზის გამარჯვებულები შტეფი გრაფი და მონიკა სელეში ხვდებოდნენ

იხილეთ მეცხრე გვერდი

# ვერისზაღური უნივერსიადა

## კანდელაკმა დაამტკიცა, რომ დილეტანტი არ არის

*გუშინ ვერის ბაღში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი სენსაცია მოხდა: ნუგზარ კანდელაკის ახალმა გუნდმა სდასუ-მ მისი ძველი გუნდი, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი, პერსპექტიული ნიკა ცქიტიშვილით გაძლიერებული სტუ იმსხვერპლა.*

*მანამდე კი „მაკაბი“ ტაიმნახევარს უგებდა თსუ-ს, მაგრამ სათადარიგოთა მოკლე სკამის გამო მატჩი დიდი სხვაობით დათმო.*

მატჩების მიმოხილვა იხილეთ მერვე გვერდზე

საქართველოს ჩემპიონატი

**10 ტური**

**მაკაბი 73:95 თსუ**
**სტუ 57:63 სდასუ**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 10 | 10 | .0 | 820:690 | 20 |
| სტუ | 10 | 8 | 2 | 739:679 | 18 |
| თსუ | 10 | 7 | 3 | 816:758 | 17 |
| ვითა | 10 | 6 | 4 | 464:436 | 15 |
| დინამო | 10 | 5 | 5 | 784:773 | 15 |
| სდასუ | 10 | 5 | 5 | 709:748 | 15 |
| შევარდენი | 10 | 4 | 6 | 680:709 | 14 |
| კოლხა | 10 | 3 | 7 | 637:774 | 13 |
| მაკაბი | 10 | 2 | 8 | 735:802 | 12 |
| ასკ | 10 | 0 | 10 | 79:94 | 10 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

# ნემსაძე: პირველი ქართველი იტალიაში

## გიორგი დღეს სერია B-ს „რეჯანაში" ჩაირიცხება



გიორგი ნემსაძე

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ დანიურ „ბრონდბიუში" გადასვლის ვარიანტიც იუარა და დღეს, თუ კი რამ გაუთვალისწინებელი და სასწაული არ მოხდა, შუა ევროპული დროით 12 საათზე სერია B-ს „რეჯანასთან" გააფორმებს სამწელიწადნახევრიან კონტრაქტს.

გიორგი უკვე სამი დღეა, აპენინებზე იმყოფება და ახალ კლუბთან ერთად ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, ნემსაძეს 10 საათზე მედიკოსები გასინჯავენ. ორი საათის შემდეგ კი კალამსაც მიაწვდიან. გუშინ ნემსაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კონსულტანტს რობერტო ლანდისა და „რეჯანას" მენეჯერს ფერნანდო დე ნაპოლის შეხვდა, უფრო ადრე კი თვით მარკო ტარდელისთან ისაუბრა „რეჯანასა" და თავის მომავალზე. ბოლო ხანს კლუბი საფუძვლიანად გაძლიერებულა, მართალია, ამჟამად აუტსაიდერთა შორისაა, მაგრამ ახალი ფეხბურთელების შეთამაშების შემდეგ სერია A-ში დაბრუნებას გეგმავს: უძლიერესთა ლიგის კარს მომავალი სეზონის ჩამთავრების მერე შევაღებთო — დაუმშვიდებიათ ნემსაძე. „რეჯანას" უკვე გიორგის ყოფილი კლუბი „გრასჰოპერიც" გაუსტუმრებია. შვეიცარიელები იტალიას გუშინ ჩავიდნენ და შინ ჯიბეგასქელებულებიც დაბრუნებულან — ნემსაძის საფასურად „გრასჰოპერმა" 650 ათასი დოლარი მიიღო.

**კობა ინასარიძე**

# თანამეგობრობის თასი 99

**უმაღლესი დივიზიონი**

III ტური
26 იანვარი

**A ჯგუფი**

**დინამო თბ 3:5 დნეპრტრანსმაში**

1:0 ასათიანი (11), 1:1 ლანკო (12), 1:2 ოგოროდნიკი (18), 2:2 მიქაძე (21), 3:2 გ. შენგელია (34), 3:3 ჩუმაჩენკო (35), 3:4 ოგოროდნიკი (44), 3:5 ჩუმაჩენკო (90)

**სპარტაკი 2:0 კაუნასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| კაუნასი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| დნეპრტრანს. | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| დინამო თბ | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |

**B ჯგუფი**

**სკონტო 4:0 ქიაფაზი**

**დინამო კ 3:0 კოპეტდაღი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო კ | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სკონტო | 3 | 2 | 0 | 1 | 16:5 | 6 |
| ქიაფაზი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| კოპეტდაღი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:14 | 0 |

**პირველი დივიზიონი**

**C ჯგუფი**

**ტულევიკი 0:2 ნაკრები**

**ზიმბრუ 2:0 დინამო მვდ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმბრუ | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ნაკრები | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ტულევიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| დინამო მვდ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**D ჯგუფი**

**ელიმაი 1:2 ცემენტი**

**სპარტაკი 2 2:0 ვარზობი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ცემენტი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ელიმაი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ვარზობი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

როგორც ცნობილია, უმაღლეს დივიზიონში ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა შეადგინეს ფინალური ჯგუფი, ამასთანავე ერთმანეთში ნათამაშევი შედეგები გადაჰყვებათ.

გუშინ ფინალურ ჯგუფში ორი შეხვედრა შედგა:

**სპარტაკი 3:1 სკონტო**

**დინამო კ 0:0 კაუნასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| დინამო კ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კაუნასი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| სკონტო | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | 0 |

ხვალ:

**სკონტო — კაუნასი**

**დინამო კ — სპარტაკი**

*31 იანვარს ორი საუკეთესო ფინალში დსთ-ს თასის მეშვიდე გათამაშების გამარჯვებულს გამოავლენს.*

ახლა რაც შეეხებათ ქართველებს. რადგან თბილისის „დინამომ", რომელიც გვარამაძისა და მაჭავარიანის გარდა ტურნირზე სათადარიგოთა შემადგენლობით გამოდიოდა, ჯგუფში სამივე მატჩი დათმო, თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის მორიგ გათამაშებაში, თუ, რა თქმა უნდა, კვლავ ჩატარდა, რანგით დაბალ ლიგაში გადაინაცვლა. იქ კი საქართველოს ჩემპიონს ისეთი ქვეყნების ჩემპიონებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა, როგორებიცაა ესტონეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და ტაჯიკეთი, აგრეთვე ტურნირში უკვე მერამდენედ უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის 21-წლამდელთა ახალგაზრდულ ნაკრებთან. ქართველების ხვედრი B ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასულმა თურქმენეთის ჩემპიონმაც გაიზიარა.

ქართველებმა და თურქმენებმა კი ჩაინაცვლეს, მაგრამ სამაგიეროდ ხომ ქვედა ლიგაში ორი გამარჯვებული ალზევდა. ორიდან ერთი ნამდვილად მოლდოვის ჩემპიონია, აი, D ჯგუფში კი მოსკოვის „სპარტაკის" სათადარიგოებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ვინაიდან ისინი ტურნირზე უკონკურსოდ მონაწილეობდნენ, ეს პატივი სომხეთის ჩემპიონებს ხვდათ წილად.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ცქიტიშვილს ვიზაც უფეშქაშეს

როგორც გულშემატკივრისთვის ცნობილია, გერმანული ბუნდესლიგის „ფრაიბურგში" მეორე წრიდან სამი ქართველი ითამაშებს — ალექსანდრე იაშვილსა და ლევან კობიაშვილს ლევან ცქიტიშვილიც შეემატათ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი „დინამოდან" ბელგიურ „რასინგ მეხელენში" ახალი გადასული იყო, როდესაც ცქიტოს „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკე დაუკავშირდა, ჩამოდი, ჩვენთან ითამაშე. ცხადია, ფინკეს დაინტერესებაში იაშვილმა და კობიაშვილმა დიდი როლი ითამაშეს. ცქიტომ მიიღო მიწვევა. ფინკე კმაყოფილი დარჩა და სამნომრიანი მაისურიც უფეშქაშა. ლევანი „ფრაიბურგს" უკვე ორჯერ გაჰყვა შეკრებაზე. საკონტროლო შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა. ცქიტიშვილი გერმანიაში კი იმყოფებოდა, მაგრამ იქ გასაჩერებელი ვიზა არ ჰქონდა, სწორედ ამის გამო იმყოფებოდა თბილისში, ეს პრობლემა უნდა მოეგვარებინა. ცხადია, მას ჩვენებურებზეც ვკითხეთ:

— ყველაფერი მოვაგვარე, საბუთები, რაც საჭირო იყო, გერმანიის საელჩოში მივიტანე და ვიზაც უმალ მომცეს. ასე რომ, ხვალ (ლევან ცქიტიშვილს გუშინწინ ვესაუბრეთ — გ.ვ.) დილით მივფრინავ გერმანიაში. ორი შეკრება უკვე გვქონდა, ორი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ და ორივეში ვმონაწილეობდი. გუნდი ჯერ ადგილზე იმყოფება. ხოლო 3 თებერვლიდან შეკრებას კვლავ პორტუგალიაში გავივლით. რა ვიცი, ფინკე ჩემით კმაყოფილია და მენდობა კიდეც. იაშკას და კობის რაც შეეხებათ, ლევანი მწყობრშია, აი, აკუნა კვლავ უჩივის მუხლს, ვარჯიშით კი ვარჯიშობს, მაგრამ ეტყობა, რომ მაინც აწუხებს. გუნდის ექიმები ჯერჯერობით ოპერაციისგან თავს იკავებენ.

„ფრაიბურგთან" ჩემი კონტრაქტი ექვსთვიანია, ამ ვადის გასვლის შემდეგ „დინამოს" და „ფრაიბურგის" ხელმძღვანელები დაილაპარაკებენ ჩემს მომავალზე. არ ვიცი, რას გადაწყვეტენ, არც ის ვიცი, აქვს თუ არა სურვილი „დინამოს", ზაფხულში ევროთასებისთვის რომ დავეხმარო.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ბალაშვილი ჩამოფრინდა, თარხნიშვილი გაფრინდა

მეათე ეროვნულში ჯერჯერობით დაუმარცხებელი თბილისის „ლოკომოტივის" დაცვა ერთ-ერთი გამორჩეული იყო. რკინიგზელთა უკანა ხაზის გაძლიერება „დილადან" გადმობირებულმა ვაჟა თარხნიშვილმა და გიორგი ბალაშვილმა განაპირობეს. ორივე ფეხბურთელმა ეროვნული ნაკრების თავკაცის ვლადიმერ გუცაევის ყურადღებაც მიიპყრო და ესტონელებთან ამხანაგურ შეხვედრაში პირველად მოირგო ნაკრების მაისური.





ბალაშვილი ისევ ქართველ თავდამსხმელებს შეაჩერებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

ამჟამად ბალაშვილსა და თარხნიშვილს „ლოკომოტივის" დატოვება განუზრახავთ. გიორგიმ საბერძნეთში თამაშის სურვილი გამოთქვა და იქაურ „კავალას" მიაშურა, მაგრამ მალევე უკან გამობრუნდა. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ტრანსფერი მაისისთვის გადაიდო. მაისში ფეხბურთელს რკინიგზელებთან კონტრაქტის ვადა ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. მანამდე კი „ლოკომოტივის" მესვეურები ამ ორ მცველში 50-50 ათას დოლარს ითხოვენ. დამეთანხმებით, სოლიდური თანხაა და ეტყობა, ბერძნულმა მხარემაც ამის გამო შეიკავა თავი ხელშეკრულების გაფორმებისაგან. ბალაშვილი, ალბათ, სეზონის ბოლომდე საქართველოში დარჩება.

რაც შეეხება თარხნიშვილს, ვაჟას მოლდოვური „შერიფისკენ" მიუწევს გული. მას მტკიცედ გადაუწყვეტია „ლოკომოტივის" დატოვება და გუშინწინ ჩრდილოეთს გაფრინდა. ფეხბურთელს რამდენიმე სხვა ვარიანტიც აქვს და ვნახოთ, რომელი გაუმართლებს.

გუშინ კი რკინიგზელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს ბოლნისის „სიონთან". მახარაძის შეგირდებმა 88-ე წუთზე საჯარიმოდან ალექსანდრე გოგობერიშვილის ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვეს 1:0.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ვიტელებმა მოგებაც დაიწყეს

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" მზადების შესახებ უკვე არაერთხელ გაუწყეთ. ისიც გამცნეთ, რომ გუნდში გასასინჯად იმყოფებოდნენ აკადემიელები გურამ მეტრეველი, ლევან ხაბულიანი და ლოკომოტიველი გიორგი ქორიძე. როგორც შევიტყვეთ, კლუბის მწვრთნელები მათი მზადყოფნით კმაყოფილნი დარჩენილან და სამივე ფეხბურთელი უკვე განაცხადშიც შეუყვანიათ. მეორე წრეში „ვიტ ჯორჯიაში" პაატა გვირჯიშვილიც ითამაშებს, რომელიც პირველ წრეში მეორელიგელი ახალციხის „მესხეთის" ღირსებას იცავდა. დღე-დღეზე ელიან გორელ ალეკო კაიდარაშვილსაც. სეზონის განახლებისთვის მზადების პროცესში ვიტელებმა რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გამართეს. გუშინ ისინი დილმის საწვრთნელ ბაზაზე ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს თბილისის „დინამოს" შეხვდნენ და გიორგი ქორიძის მიერ გატანილი გოლით 1:0 გაიმარჯვეს.

გუშინდლამდე ჩატარებული ოთხი მატჩიდან ვეტერინარებს ოთხივე წაგებული ჰქონდათ. იმ შეხვედრებში ექსპერიმენტული შემადგენლობა გვყავდა, ახლა კი დაკომპლექტებას თითქმის ვასრულებთ და ეს გამარჯვებაც ამან განაპირობაო, გვითხრა „გვითხრა" მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

**ვანო ოქროპირიძე**

# შევარდენი: სტუდენტთა ახალი აუდიტორია

მას შემდეგ, რაც მცხეთის „არმაზის" სტადიონი თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" შეიძინა, მეორე თბილისური კლუბი თსუ უსარბიელოდ დარჩა. სტუდენტთა პრეზიდენტის, ბატონ ალეკო ბუკიას თქმით, თსუ თავდაცვის სამინისტროსთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და თითქმის გადაწყვეტილიც იყო, რომ სტუდენტები „არსენალის" მსგავსად ავლაბარში „ისნის" სტადიონზე ჩაატარებდნენ მატჩებს, მაგრამ ვითარება შეიცვალა. თსუ-ს ხელმძღვანელობამ საზიარო სტადიონზე თამაშს უგუნდო სარბიელის მოძებნა ამჯობინა და როგორც ჩანს, იპოვა კიდეც. „ფაქტობრივად, გადაწყდა, თსუ მეორე წრის საშინაო მატჩებს ნავთლუღში „შევარდენის" სტადიონზე გამართავს. სტადიონის ხელმძღვანელებს დღეს კიდევ ერთხელ შევხვდებით და ტექნიკურ მხარეებზე მოველაპარაკებით" — გვითხრა ბატონმა ალეკომ. თუ ეს საქმე დადებითად გადაწყდა, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები „შევარდენს" დაუბრუნდებიან. შეგახსენებთ, თსუ მერვე ეროვნული ჩემპიონატის წინ „შევარდენი 1906"-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელიც პირველი შვიდი ჩემპიონატის განმავლობაში სწორედ „შევარდენის" სტადიონზე მასპინძლობდა მეტოქეებს.

ისე, თუ თსუ-მ ნავთლუღში ითამაშა, ურიგო არ იქნება. ჯერ ერთი, სტუდენტების „ისანზე" ბურთაობა, ფედერაციის წარმომადგენლებს აიძულებდათ, უკვე შედგენილი კალენდარი შეეცვალათ. მეორეც, „შევარდენი", ტრიბუნებს თუ არ ჩავთვლით, ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია საქართველოში. მინდორიც ჩინებულ მდგომარეობაშია. სტადიონის მესვეურებს გასახდელებისთვისაც მიუხედიათ. თუ მათ გუნდების გასახდელები მხოლოდ შეარემონტეს, მსაჯებისთვის აუზიც გაუკეთებიათ. ასეთ ფუფუნებას მსაჯები „ეროვნულზეც" კი უჩვევნი არიან და გემო თუ გაუგეს, მერე ნახეთ...

**ვანო ოქროპირიძე**

# ტორპედომ წვიმაში მშრალად დაიწყო

გუშინწინდელ „სარბიელში" გაუწყებდით, რომ ანთალიაში მყოფ ქუთაისის „ტორპედოს" ოთხშაბათს პირველი საკონტროლო მატჩი უნდა გაემართა უკრაინის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან.

გუშინ კვლავ შევეხმიანეთ სასტუმრო „ოფო ანთალიაში" დაბინავებულ ჩვენებურებს. ამჯერად ქუთათურთა კლუბის ლიდერს დავით ჯანაშიას დავუკავშირდით. როგორც ჯანაშიამ გვითხრა, „ტორპედოს" ხელმძღვანელობას გეგმები შეუცვლია და საპაექროდ დათქმულზე ერთი დღით ადრე მეტოქეც გამოუძებნია. სამშაბათს ქუთაისელები თურქეთის მეორე ლიგის „ფენდიქსფორს" გაჯიბრებიან ამხანაგურად.

— შეხვედრა 0:0 დამთავრდა, მაგრამ სრულ სათამაშო უპირატესობას ვფლობდით. ანთალიაში ძლიერად წვიმდა და მოედანზე კოჭებამდე წყალში მოგვიხდა ბურთაობა. ყოველივემ ხელი შეგვიშალა უამრავი საგოლე მომენტის გამოყენებაში — გვიამბო ჯანაშიამ.

რაც შეეხება უკრაინულ კლუბთან დაპირისპირებას, ეს შეხვედრა დღეისთვისაა დაგეგმილი. „ტორპედო" მარიუპოლის „მეტალურგის" წინააღმდეგ მოსინჯავს ძალას.

**ხვიჩა სანიკიძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

WOMEN'S CHAMPIONSHIP

# ქალო განახე ფეხშიშველი



ვაჟა ჟვანია

ეს ამბავი ორიოდე წლის წინ მოხდა და განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ერთ-ერთი ევროპული არხი საფეხბურთო მატჩს გადმოსცემდა (თუ არ ვცდები, ნორვეგია გერმანიას ხვდებოდა). ჰოდა, ერთ მომენტში მარცხენა ფრთიდან მავანი ფეხბურთელის მიერ მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს პარტნიორმა ჯერ მკერდი შეაგება, შემდეგ კი ეფექტური დარტყმით (აი, ისეთით, მაკრატელას რომ ვეძახით) მეტოქის კარში გადაგზავნა. ეს ეპიზოდი კი გამორჩეულად იმიტომ მივიჩნიე, რომ გოლის ავტორი ნორვეგიელი მანდილოსანი გახლდათ და იმ დღეს ევროპული არხი ქალთა ფეხბურთის მატჩს უჩვენებდა.

უდავოა, ქალი ესთეტიკურ სილამაზეს ქმნის მოედანზე და მსოფლიოშიც მათ ამ მხრივ გარჯას ბევრი შემფასებელი და გულშემატკივარი ჰყავს. რატომაც არა, აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ბურთისთვის ბრძოლაში მეტოქის ფეხებში შეცურებული სუზანა ვერნერი (რონალდინია) და თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება. ჰოდა, აფასებენ მსოფლიოში ქალთა ფეხბურთს. საზღვარგარეთ ამ დარგში ბევრი ფულიც არის ჩადებული, მოთამაშეთა სერიოზული ტრანსფერებიც ხორციელდება, შესაბამისად, მანდილოსანთა ბურთაობას რეკლამაც არ აკლია და ბუნებრივია, ფედერაციებიც სოლიდურ მოგებას ნახულობენ.

ეს უცხოეთში, ჩვენთან კი რა ხდება. მაშინ, როდესაც ირანის პარლამენტი ქალთა ფეხბურთის არსებობა-განვითარებისთვის საგანგებო განკარგულებას გამოსცემს (ოღონდ ეგაა, ფუნდამენტალისტებმა თავიანთ ქალებს ტრუსებით თამაში აუკრძალეს), ჩვენში ამ დარგის განვითარებაზე საუბარიც არ არის. არადა, თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ქალებში ჩემპიონი გუნდიც გვყავდა, ასოციაციაც ფუნქციონირებდა (მაშინ ამ საქმეს ქალბატონი რიტა ფოცხიშვილი ხელმძღვანელობდა), შემდეგ ფინანსური სიდუხჭირის გამო „ქალთა მოძრაობა" შეჩერდა. 1996 წელს კი ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტად ვაჟა ჟვანია დაინიშნა და თითქოს ყინულიც დაიძრა, მაგრამ...

ვაჟა ჟვანია დღესაც ქალთა ფეხბურთის ასოციაციის თავკაცია, იმ ფეხბურთისა, რომელიც დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს. არადა, თურმე აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუ რატომ, ფუნქციადაკარგულ პრეზიდენტთან ინტერვიუდან შეიტყობთ.



საქართველო — თურქეთი 0:1. ჩვენი ქალთა ნაკრების საუკეთესო მატჩი

**— ბატონო ვაჟა, ქალთა ფეხბურთის ბუმი საქართველოში არასდროს ყოფილა, მაგრამ ფაქტია, რომ დაწყებული საქმის გაგრძელებაზე არავის უფიქრია. საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ოდენ ორი შეხვედრა გამართა საერთაშორისო სარბიელზე და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიც შუა გზაზე მიატოვა.**

— მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ. 1996 წელს 5 წლის ვადით სამოცდათერთმეტმა ადამიანმა ერთხმად ამირჩია ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტად. ეს ყველაფერი დოკუმენტურად დასაბუთებულია. მსგავსი სტრუქტურები ყველგან ფეხბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაშია. ასე იყო ჩვენთანაც და საჭირო იყო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გამართვა. ეს კი ადვილი არ გახლდათ, რადგან მე თექვსმეტწლიანი უთანხმოება მქონდა ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან. დღეს უნდა ვაღიარო, რომ ამ დიდ პიროვნებასთან ჩემი შერიგება ალექსანდრე ჩივაძის და ვლადიმერ გუცაევის შუამდგომლობით მოხდა. მოკლედ, მე და ახალკაცს გარკვეული პრობლემა საერთო ძალისხმევით უნდა მოგვეგვარებინა.

**— რა პრობლემა?**

— მოგახსენებთ. არსებობდა და დღესაც არსებობს უეფას და ფიფას კატეგორიული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ამ ორგანიზაციებში შემავალი ფეხბურთის ფედერაციები ვალდებულნი არიან, თავიანთ ქვეყნებში ქალთა ფეხბურთის აღორძინებასაც შეუწყონ ხელი. ამისათვის კი საჭირო იყო შიდა ჩემპიონატის და თასის გათამაშების გამართვა, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემოდა ქალთა ნაკრებს საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის უფლება. პირველობის და თასის გათამაშების ორგანიზებამდე კლუბები უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს კი რთული პროცესი იყო, რადგან ყოველივე დიდ თანხებს მოითხოვდა. სწორედ ეს პრობლემა უნდა მოგვეგვარებინა მე და ფედერაციის თავკაცს.

**— ფიფას და უეფას მსგავს შემთხვევებში ბევრისთვის გაუწვდია დახმარების ხელი. წესით და რიგით, ფინანსური შეწევნა ამ ორგანიზაციებისგანაც უნდა გქონოდათ.**

— გეთანხმებით, ფეხბურთის ზემდგომ ორგანოებს ამგვარი რამეები არ ეშლებათ. მეც დავუკავშირდი მათ და მაცნობეს, წლის (1996) ბიუჯეტი უკვე გავანაწილეთ და გრაფიკში გაისად ჩაგსვამთო. მოკლედ, ეს საკითხი ჩვენი ძალებით უნდა მოგვეწესრიგებინა და მოლაპარაკების მაგიდასაც მივუსხედით.

**— მოდით, ამ მოლაპარაკების შედეგებზეც ვთქვათ.**

— ჩვენ შევთანხმდით, რომ ქვეყნის პირველობას და თასის გათამაშებას ქალთა ფეხბურთის ასოციაცია თავისი ხარჯებით ჩაატარებდა. სამაგიეროდ, სფფ თავის თავზე ღებულობდა ვალდებულებას, რომ ქალთა ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობისთვის საჭირო მთლიან თანხას გაიღებდა. ესეც დოკუმენტურად დასაბუთებულია. ფედერაციამ თავის მხრივ ქალთა ფეხბურთის კურატორად ალექსანდრე ჩივაძე დანიშნა. ამის შემდეგ საქმეს შევუდექით: გავმართეთ ხუთგუნდიანი ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის ორი („ავაზა" I და II), ბათუმის, გორის და ჭიათურის გუნდები მონაწილეობდნენ, და ჩავატარეთ თასის გათამაშებაც. პირადად მე ამ საქმეზე 28 996 ლარი დავხარჯე, ვინახავდი გუნდებს, გავცემდი ხელფასებს, ვიხდიდი ფულს მსაჯების თამაშებზე მივლინებისთვის, ვზრუნავდი გუნდების აღკაზმულობაზე. მოკლედ, ფედერაციასთან დადებული შეთანხმება არ დამირღვევია.



1997 წელი. საქართველოს თასის ფინალი. ავაზა — ბათუმი 2:0

**— რამდენად შეესაბამებოდა ხუთგუნდიანი ჩემპიონატი ფიფა-უეფას მოთხოვნებს?**

— დასაწყისისთვის საკმარისი იყო, თანაც ჩვენი ფეხბურთის ფედერაციამ გარანტია მოგვცა, რომ ახლო მომავალში საქართველოში ქალთა საფეხბურთო კლუბების რაოდენობა მოიმატებდა. მოკლედ, მე ჩემი მისია პირნათლად შევასრულე, რის შესახებაც ოფიციალურად ვაცნობე ფიფას და ვთხოვე, საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში დაეშვა. შვეიცარიიდან თანხმობა მივიღეთ და ჩვენი ნაკრები ერთ-ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა თურქეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის ნაკრებებთან ერთად და...

**— სფფ-ს დოკუმენტურად არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ჯერიც დადგა.**

— დიახ. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. იუგოსლავიაში, შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრაც გავმართეთ (სლავებთან ქართველები 0:11-ით დამარცხდნენ. პ.კ.), შემდეგ რუსთავში თურქებს ვუმასპინძლეთ. გეხსომებათ, მაშინ ბოლო წუთზე დასანანი გოლი გავუშვით და (0:1) დავმარცხდით. სხვათა შორის, ამ მატჩს „ფოლადზე" 7000 მაყურებელი უცქერდა (ამდენი გულშემატკივარი რუსთავში „გორდას" თამაშებს წლების განმავლობაში არ დასწრებია. პ.კ.). როცა მესამე შეხვედრისთვის, სტუმრად ბერძნებთან სათამაშოდ ვემზადებოდით, გაირკვა, რომ ფედერაცია ჩვენი გოგონების საბერძნეთში გამგზავრებას ავტობუსით აპირებდა და ამისთვის 9000 დოლარი ჰქონდა გადადებული. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი გახლდათ. წარმოიდგინეთ, გუნდი სამი დღის განმავლობაში 2500 კმ-ს რომ გაივლის და პირდაპირ მოედანზე აღმოჩნდება, რა შედეგზე უნდა იყოს ლაპარაკი. ეს ჩვეულებრივი ლოგიკაა, მე, როგორც პრეზიდენტი, ამ პრეცენდენტს არ დავუშვებდი. დაუყოვნებლივ შევხვდი ნაკრების კურატორს (ალექსანდრე ჩივაძეს) და შევთანხმდით — საქართველოს ნებისმიერი ნაკრები ერის სახეა და ამიტომ მისი ტრანსპორტირებაც ცივილური სახით უნდა ხდებოდეს. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკებაში სფფ-ს მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძეც მონაწილეობდა. მე მათ წარვუდგინე ნაკრების ყველა წევრის ხელმოწერა (ისინი ავტობუსით გამგზავრებაზე უარს ამბობდნენ) და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობის პირნათლად შესრულება მოვთხოვე. ფედერაცია დაგვპირდა, რომ ნაკრების თვითმფრინავით ჩასვლა-ჩამოსვლისთვის 18 000 დოლარს გაიღებდა (ისე, არც ეს თანხა იყო საკმარისი). ბოლო მომენტში კი სფფ-მ გვიგანა, კვლავ ავტობუსი და 9000 დოლარი შემოგვთავაზა. მოკლედ, ვერ წავედით, ამის შედეგი კი თქვენთვისაც კარგად არის ცნობილი — ნაკრები შესარჩევი ტურნირის გათამაშებიდან მოხსნეს.

**— ფაქტობრივად, ამის შემდეგ ჩვენში ქალთა ფეხბურთი ჩაკვდა, აღარც ჩემპიონატი იმართება, აღარც თასის გათამაშება და ის კინკილა ხუთი გუნდიც არ არსებობს, თავიდან რომ გვყავდა. საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, ფიფას და უეფას დირექტივებით ეს დარგი უნდა აღორძინდესო, აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ეს ორგანიზაციები ამ მხრივ უმოქმედობას არ გვაპატიებენ, ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა თუ დაგიკავშირდათ, მით უმეტეს, როგორც ბრძანებთ, იურიდიულად დღესაც ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტად ითვლებით!**

— სხვათა შორის, იურიდიულად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც ვარ. ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ამის თაობაზე არ შემხმიანებია. ვაცხადებ, რომ მათ არც დავუკავშირდები, ამ საკითხში ფედერაციასთან შუამავლად ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ბერიძიშვილი იქნება. ვიმეორებ, ერთ დროს ამ საქმისთვის 28 996 ლარი დავხარჯე და ამის გამომზეურებაც შემიძლია.

**— ამ თანხის დაბრუნება ხომ არ გსურთ?**

— აქ, ურთიერთგაგებაზეა საუბარი. გესმით, რაშია საქმე? თუ ურთიერთგაგება არსებობს, ეს თანხა უნდა დამიბრუნონ და პირობას გაძლევთ, იგი ისევ ქალთა ფეხბურთს მოხმარდება.

**— ესე იგი, თქვენი თანამშრომლობა სფფ-სთან გამორიცხული არ არის?**

— მე არავის ვლანძღავ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მერაბ ჟორდანია ჩემი ბავშვობის ძმაკაცია და ამიტომ ხმამაღლა ვიტყვი: მე მასთან მუშაობას,. გინდა ქალთა ფეხბურთი იყოს და გინდა კაცთა, არ ვაპირებ.

*მოკლედ, ასეა. გაურკვეველია ქალთა ფეხბურთის ხვალინდელი დღე საქართველოში (სული ცოდვილო, კაცთა ფეხბურთიც რომ თავზე გვენგრევა, იმას რა ვუყოთ). ისე, ადვილი შესაძლებელია, ფიფამ და უეფამ კვლავ დაუქნიონ თითი ჩვენს ფედერაციას და იქნებ მერე ამ მხრივ სადღაც რაღაც გაფაჩუნდეს. მაგრამ ეს გაფაჩუნება, ისევე, როგორც აქამდე, იძულებითი იქნება. იძულებით გაკეთებულ საქმეს კი ხეირი რომ არ მოაქვს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.*

პაატა ძვანტალიანი

# 15 თვე ჯერ წინაა

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ინგლისს, გერმანიას, ბრაზილიას, სამხრეთ აფრიკას, მაროკოს, ეგვიპტეს და განას სურთ. ეს ის ქვეყნებია, რომელთაც ფიფას მიერ დაწესებულ ვადაში, გასული წლის ბოლომდე ოფიციალურად დაადასტურეს თავიანთი სურვილი.

ახლა მეორე ეტაპი დაიწყო. ივლისამდე ჩამოთვლილმა შვიდმა ქვეყანამ სურვილი დეტალური წინადადებითა და გეგმებით უნდა განამტკიცოს. ამის შემდეგ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი მათ გეგმა-წინადადებებს შეისწავლის და 2000 წლის მარტში გადაწყვეტს რომელს ხვდება წილად შეჯიბრების მასპინძლობის პატივი.

ამასობაში კი კონკურენტები ინტენსიურად მუშაობენ პოზიციათა გასამაგრებლად. მიმდინარეობს ნამდვილი



ფრანც ბეკენბაუერი

ბრძოლა.

ინგლისი დარწმუნებულია, რომ ალფ რამსეის დროინდელი ტრიუმფიდან 40 წლის შემდეგ იგი ისევ გახდება მსოფლიოს უდიდესი ტურნირის მასპინძელი. ერთადერთი, რაც სადღეისოდ ამ ქვეყანას აბრკოლებს ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელთა გადადგომის საკმაოდ სკანდალური ისტორია გახლავთ.

მოგეხსენებათ ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი გრემ კელი და თავმჯდომარე კით უაისმენი უელსის ფეხბურთის ასოციაციისთვის 3,2 მილიონი გირვანქის ჩუქებაში ამხილეს. ისინი თურმე ამ თანხის სანაცვლოდ უელსელთაგან ფიფას აღმასკომში თანამემამულის გაყვანას ითხოვდნენ, რომელიც 2000 წლის მარტში, ბუნებრივია, ხმას ინგლისს მისცემდა.



იოზეფ ბლატერმა ნელსონ მანდელას სამხრეთ აფრიკაში ჩააკითხა

ამასთან დაკავშირებით ინგლისელთა კამპანიის ლიდერმა ალეკ მაკგივანმა BBC-ს რადიო 5-ს განუცხადა:

„ამ წუთას ხალხს ჰგონია, რომ ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფისა და თავმჯდომარის გადადგომის ამბავი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, სანამ ფიფა 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელს აირჩევს, 14 თვე გავა და იმ დროისთვის ეს ამბავი სულაც აღარ იქნება ასე ყურადსაღები. ჩვენ სულ მალე ახალი თავმჯდომარე და აღმასრულებელი შეფი გვეყოლება. კიდევ ერთს მოგახსენებთ: ეს სკანდალური ისტორია სულაც არ გახლავთ ფიფასთვის გადამწყვეტი. ამ ორგანიზაციას მიზნად მსოფლიოს პირველობისთვის საუკეთესო ბინის მოძიება აქვს, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საუკეთესო ბინად სწორედ ინგლისი გამოდგება“.

მოგეხსენებათ ევროპული ფეხბურთის მმართველთ, უეფაში, კონტინენტიდან ერთი კანდიდატის წარდგენა სურდათ და ძალიან დაწყდათ გული მათმა ქვეშევრდომებმა გერმანიამ და ინგლისმა ერთმანეთში დიდი ომი რომ გააჩაღეს.

გერმანული ფეხბურთის უდიდესი წარმომადგენელი ფრანც ბეკენბაუერი კი ამასობაში აცხადებს, რომ მისი ქვეყნისთვის უდიდესი კონკურენტი ინგლისი კი არა, ბრაზილია იქნება. ამ აზრს, ბუნებრივია, არ იზიარებს მაკგივენი. ის ამბობს:

„ადვილი შესამჩნევია, რომ გერმანიაში საზოგადოებრიობა და მთავრობა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ხელში ჩაგდებით მაინცდამაინც არ არიან დაინტერესებული. მე თუ მკითხავთ გერმანელებს შურთ იმ მხარდაჭერისა, ჩვენ ბრიტანეთის ხელისუფლებისგან რომ ვგრძნობთ“.

ინგლისი, ბრაზილია და გერმანია მართლაც გავლენიანი ქვეყნები გახლავან, მაგრამ ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს ძალიან უნდა 2006 წელს ჩემპიონატი აფრიკაში ჩაატაროს. ამ კონტინენტზე ხომ მსოფლიოს პირველობა არასდროს გამართულა.

„შავი კონტინენტის“ ქვეყნებიდან კი აშკარა ფავორიტი სამხრეთი აფრიკა გახლავთ. ქვეყანას დიდი შეჯიბრებების მასპინძლობის გამოცდილება აქვს. მან 1995 წელს რაგბის „მსოფლიო თასს“ უმასპინძლა, 1996 წელს ფეხბურთელთა „აფრიკის თასს“, 1998 წელს კი მძლეოსნების მსოფლიო ჩემპიონატს.

მაკგივენს კარგად ესმის, რომ აფრიკის ქვეყნებს ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვთ, თუმცა აცხადებს:

„საკითხი ისაა, იქნებიან თუ არა აფრიკელები მზად უდიდესი გამოცდის ჩასაბარებლად. ფიფას ხომ ყველაფერი ცხადად აქვს მოთხოვნილი, ცნობილია თუ რა პირობები უნდა შექმნას ქვეყანამ რათა მსოფლიოს პირველობის მასპინძელი გახდეს“.

ინგლისს პირობების მხრივ არ უჭირს. მან 1996 წელს ევროპის პირველობას უმასპინძლა, ასე, რომ სტადიონები და ინფრასტრუქტურა 2006 წლისთვის არც ისე მოძველებული ექნება, თუმცა ბლატერი ნოემბერში სამხრეთ აფრიკას რომ ეწვია, ქვეყნის პრეზიდენტს, ნელსონ მანდელას შეხვდა და განაცხადა:

„ვიბრძოლებ რათა 2006 წლის პირველობას აფრიკამ უმასპინძლოს“.

და მაინც, 14 თვე წინაა.

# იტალიური ტელეპოლიტიკა

იტალიის მთავრობა ქვეყნის საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციათა უფლების 60 პროცენტს რომელიმე ციფრულ, ფასიან ტელეკომპანიას მიყიდის — ეს სიახლე „რადიორადიკალს“ ქვეყნის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ, ვინჩენცო ვიტამ განუცხადა. „რომელიმე ტელეკომპანიის“ ვინაობა კონკურსის მიხედვით გაირკვევა.

ვიტამ თქვა, რომ ორშაბათ საღამოს მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების კოალიციამ საგანგებოდ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და კმაყოფილმა განაცხადა, რომ პარასკევს, კაბინეტის მორიგ სხდომაზე მას სერიოზულად განიხილავენ.

„საფეხბურთო შეხვედრათა ტრანსლაციის უფლებების ერთ ხელში მოქცევა ძალიან მნიშვნელოვანია. ის დიდ საფრთხილესაც მოითხოვს და ამიტომ აუცილებელია უფლებების მფლობელი კონკურსის გზით გაირკვეს. ჩვენი აზრით 60 პროცენტი ზედმიწევნით შესაფერისი რაოდენობაა“ — დასძინა მინისტრის მოადგილემ.

ერთადერთი სირთულე 60 პროცენტის განსაზღვრა გახლავთ.

რაც შეეხება საფრთხეს, ის იტალიას ავსტრალიიდან ემუქრება. მას-მედიის ცნობილი მაგნატი რუპერტ მერდოკი, რომელიც ინგლისურ ფეხბურთში სერიოზულადაა ჩარეული და ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედიც“ კი იყიდა, თავისი საქმიანობის გაფართოებას აპენინებზეც აპირებს. მას იტალიური ფეხბურთის მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებათა ხელში ჩაგდება დაჯდომია ჭკუაში.

მერდოკს ეკუთვნის „ნიუზ კორპორეიშენ ევროპ“, რომელიც „ნიუზ კორპორეიშენ NCPAX“-ს იმპერიის შემადგენელი ნაწილია. სწორედ ის აწარმოებს სადღეისოდ მოლაპარაკებებს იტალიის ტელეკომთან და ცდილობს ტელეკომის მულტიმედიის მოცულობის 80 პროცენტი დაისაკუთროს.

„ნიუზ კორპორეიშენ ევროპის“ პრეზიდენტი გახლავთ ლეტიცია მორატი. იგი ორი დღის წინ იტალიის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარეს ფრანკო კარაროს შეხვდა და ზემოხსენებულ საკითხებზე ესაუბრა. მორატი მოლაპარაკებათა პირველი ეტაპით ძალიან კმაყოფილი დარჩა და განაცხადა:

„თებერვლის მიწურულს ჩვენ საბოლოო და საყოველთაო წინადადებას წარმოვადგენთ. ევროპაში მიღებული გამოცდილება გვკარნახობს, რომ ფეხბურთის თამაშთა ტრანსლაციის უფლება ერთიანად უნდა იყიდო და არ დაანაწევრო ძლიერ და სუსტ კლუბებად“ — განაცხადა მან.

დღეისათვის იტალიურ ფეხბურთში ტელეტრანსლაციათა უფლებებს კომპანია „ტელეპიუ“ ფლობს, რომელიც ფრანგული „კანალ პლუსის“ შემადგენელი ნაწილია. მან გასული წლის მარტში მერდოკის ხალხს ცალკეული კლუბების კონტრაქტების დაბევებით აჯობა, გაახერხა ხელშეკრულება „იუვენტუსთანაც“ და განაცხადა, რომ მისი დარღვევა დაუშვებელია, მაგრამ „ტელეპიუს“ ხელშეკრულებებს ვადა წლეულს, 30 ივნისს გაუდის. ადრე კი იტალიის საფეხბურთო ლიგას სერია A-სა და B-ს 38-ივე კლუბის თამაშების ტრანსლაციის უფლება ერთად ჰქონდა გაყიდული.

ამასთან დაკავშირებით ქვეყნის პრემიერ მინისტრმა მასიმო დალემამ „როიტერის“ იტალიური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ორშაბათ დილას ბრძანა:

„ჩემი აზრით თუ მერდოკი ჩვენს ქვეყანაში დაიწყებს საქმიანობას, აუცილებელი იქნება მისი და იტალიური ბიზნეს ჯგუფების თანამშრომლობის და შერწყმის საკითხების მოგვარება. თუ აუცილებელი გახდება, იტალიელმა ბიზნესმენებმა უნდა მოახერხონ საერთო საქმეში უმეტესი წილის ხელში ჩაგდება“.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს იტალიის სახელმწიფო ტელევიზიამ RAI-მ „ტელეპიუს“ 10 პროცენტი ჩაიგდო ხელთ და კიდევ 35 პროცენტის პარტნიორებისთვის მიცემას აპირებს.



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა შესაძლოა „ქოვენთრის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი და კიდევ ხუთი დამნაშავე გვარიანად დასაჯოს. საქმე ისაა, რომ პრემიერლიგაში „ქოვენთრის“ და „ჩელსის“ მატჩისას სტრაჩანმა მინდვრის ფარგლებს გადასული ბურთის მოედანზე დაბრუნებაზე უარი განაცხადა, რასაც ორივე გუნდის ფეხბურთელთა აღელვება და შეხლა-შემოხლა მოჰყვა. როგორც შემდგომ სტრაჩანმა ახსნა, ის ბურთს „ჩელსის“ მოთამაშეს იმ მიზეზით არ უბრუნებდა, რომ მოედანზეტრავმირებული ქოვენთრელის ჯორჯ ბოატენგის სამედიცინო დახმარებას ითხოვდა. ის მატჩი „ქოვენთრიმ“ 1:2 წააგო. რაც შეეხებათ სხვა დამნაშავეებს, ესენი არიან „ჩელსის“ მოთამაშეები — მარკ ნიქოლსი და ტერი ბერნი, ამავე კლუბის წარმომადგენელი აარონ ლონკოლნი და „ქოვენთრის“ ფეხბურთელები — ნოელ ვილანი და ჯიმ ბლითი.

**საფრანგეთის „მონაკომ“ ქვეყნის ჩემპიონ „ლანსიდან“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ვანუა ელოი გადაიბირა. მონაკოელებს ელოი „იუვენტუსში“ წასული ტიერი ანრის შემცვლელად ესახებათ. „ვიმედოვნებთ, რომ ელოი ბომბარდირულ თვისებებს სრულყოფილად გამოავლენს. ამის გაკეთებაში მას ხელს არაფერი შეუშლის“ — განაცახადა „მონაკოს“ გენერალურმა მენეჯერმა ანრი ბიანშერიმ. ელოიში, ფეხბურთელში, რომელმაც „ლანსის“ შემადგენლობაში ამ სეზონში რვა გოლი გაიტანა, „მონაკომ“ 1,16 მილიონი დოლარი გადაიხადა. დღესდღეობით „მონაკო“ კრიზისშია და ჩემპიონატის ლიდერს, მარსელის „ოლიმპიკს“ 19 ქულით ჩამორჩება.**

**შოტლანდიის** ჩემპიონმა „სელტიკმა“ თაზრა და ქვეყნის ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ მარკ ბერჩილთან ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ბერჩილი, რომელსაც ლონდონის „არსენალიც“ ეპატიჟებოდა, „სელტიკის“ საფეხბურთო სკოლის გაზრდილია. „დღესდღეობით არსადაც არ ვაპირებ წასვლას. მინდა, ჩემი ცხოვრება მთლიანად „სელტიკს“ დავუკავშირო“ — განაცხადა 18 წლის ფეხბურთელმა. შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშემ ბოლო შვიდ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა.

**ესპანეთის „ბარსელონას“ ნიგერიელი მცველი გბენგა ოკუნოვო დააზიანებით თვენახევარი ვერ ითამაშებს. აფრიკელმა მოთამაშემ მუხლის მყესები დაიზიანა. კატალონიური კლუბის უკანახაზელმა ტრავმა ნაკრებში თამაშისას, აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში, ბურუნდისთან მატჩში მიიღო. ოპერაციას ფეხბურთელი სავარაუდოდ ესპანეთის ერთ-ერთ კლინიკაში გაიკეთებს.**

**ჩეხ** მოთამაშე პაველ მრაცს უეფამ მეტოქე გუნდის ფეხბურთელის მოქრთამვაში დასდო ბრალი და 31 დეკემბრამდე აუკრძალა ევროთასების გათამაშებაში მონაწილეობა. მრაცი ამჟამად მალტის კლუბ „ვალეტაში“ თამაშობს. კლუბის ხელმძღვანელობა უეფაში აპელაციის შეტანას აპირებს. რაც შეეხება თავად ინციდენტს, ეს იმ დროს უკავშირდება, როცა მრაცი ჯერ კიდევ მალტის მეორე კლუბ „შლიემა უონდერერსში“ თამაშობდა. მაშინ მალტური კლუბი ინტერტოტოს თასზე უნგრულ „დიორ ეტოს“ ხვდებოდა. უნგრელებმა ორივე მატჩი მოიგეს, თუმცა კლუბის მეკარემ, სლოვაკმა იულიუს ნოტამ შეხვედრის კომისარს განუცხადა, მრაცი მოქრთამვას ცდილობდა, გოლის გაშვების სანაცვლოდ დიდი თანხა აღმითქვაო. უეფამ გამოძიება დაიწყო და დაასრულა კიდეც. მრაცი, ესე იგი დამნაშავე, სასტიკად დაისაჯა. მალტის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ისინი საქმის გამოძიებას თავად დაიწყებენ, თუმცა ჯერ „ვალეტას“ უეფაში შესატანი აპელაციის შედეგს დაელოდებიან.

**ინგლისის ნაკრები ყოფილმა თავდამსხმელმა რობი ფაულერმა „ლივერპულთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამას „ლივერპულის“ ქომაგები დიდხანს ელოდნენ. 23 წლის მოთამაშე „ლივერპულის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და სხვა კლუბში არ უთამაშია. ხუთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ფაულერი 13,2 მილიონ დოლარს მიიღებს. მიმდინარე კონტრაქტი მას 2000 წლის 30 ივნისს უმთავრდება. „მოხარული ვარ, რომ ჭკვიანურად მოვიქეცი. „ლივერპულში“ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და მწამს, კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია“ — განაცხადა ფაულერმა. თავდამსხმელი პრესკონფერენციაზე კლუბის კიდევ ერთ ახალწვეულ, კამერუნელ რიგობერტ სონგთან ერთად წარსდგა.**

**ბრაზილიის** ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ 31 მარტს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ამომავალი მზის ქვეყანაში იაპონიას დაუპირისპირდებიან. მატჩი გასულ აგვისტოს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ვინაიდან ბრაზილიელები მარიო ზაგალოს შემცვლელს ეძებდნენ, შეხვედრა გადაიდო. ჯერჯერობით თამაში ტოკიოშია დაგეგმილი, თუმცა არაა გამორიცხული, იგი სხვაგან გაიმართოს.

**არგენტინელი ნახევარმცველი პაბლო როდრიგესი „არგენტინოს ხუნიორსიდან“ ფრანგულ „ნიცაში“ გადაბარგდა. ახალგაზრდა სამხრეთამერიკელმა მოთამაშემ 50-იან წლებში საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სხვათა შორის პაბლო როდრიგესი 1997 წლის ზაფხულში ახალგაზრდათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაშინ არგენტინელებმა მალაიზიაში იმარჯვეს.**

**შოტლანდიის** „აბერდინმა“ ნორვეგიის ჩემპიონ „რუსენბორგიდან“ 330 ათას დოლარად ნახევარმცველი ანდრეას მაიერი იყიდა. გერმანელმა ფეხბურთელმა, რომელმაც ტრონჰეიმელთა შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა, ახალ კლუბთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მაიერმა კარიერა მიუნხენის „ბაიერნში“ დაიწყო, შემდეგ „სანქტ პაულშიც“ თამაშობდა. „აბერდინის“ ღირსებას იგი შაბათს, „გლაზგო რეინჯერსთან“ მატჩში დაიცავს.

**ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელმა მარკო ვიდუკამ „სელტიკის“ ქომაგებს უსაქციელობის გამო მოუბოდიშა. რაც ვიდუკა ხორვატიის ჩემპიონ ზაგრების „კროაციადან“ „სელტიკში“ გადავიდა ვერა და ვერ შეეგუა შოტლანდიურ კლუბს. უსიამოვნებებიც ხშირად იყო. ვიდუკამ კი ყველაფერი მოინანია.**

**ალჟირის** ნაკრების მწვრთნელი მეზიან იგილი თანამდებობიდან გადადგა. აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში ტუნისთან 0:1 განცდილმა მარცხმა იგილი აიძულა, სხვა სამუშაო მოეძებნა. მისი შემცვლელი ალჟირის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინვე დაასახელა — დღეიდან ქვეყნის ეროვნულ გუნდს რაბა საადანი უხელმძღვანელებს.

**უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელი ტიბორ დომბი ინგლისს გაემგზავრა პირველი დივიზიონის კლუბ „ჰადერსფილდში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. 25 წლის გარემარბის წარმომადგენელმა დესო ლირანდმა თქვა, რომ „ჰადერსფილდს“ თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდნენ. ნაკრებში 16-ჯერ ნათამაშევი დომბი ჯერჯერობით უნგრული „დებრეცენის“ ფეხბურთელად რჩება.**

შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რონალდოს თავს დამტყდარი ამბების შემდეგ ერთი ძალიან ლოგიკური კითხვა დაიბადა — რატომ იყვნენ ბრაზილიელები იმდენად ცუდად მომზადებულები, რომ ერთი ფეხბურთელის, თუნდაც რონალდოს პრობლემა მთელ გუნდს დაეტყო?

სწორედ ამ კითხვაზე ვეცდებით პასუხის გაცემას. ამაში ჩვენ ვანდერლეი ლუქსემბურგო დაგვეხმარება, აშკარად გადაბერებული მარიო ზაგალოს შემცვლელი. ახალგაზრდა, ელეგანტური, ლამაზად ჩაცმის სიყვარულით და პრინციპულობით განთქმული ლუქსემბურგო.

და კიდევ. ორი ფეხბურთელი, რომლებიც ლუქსემბურგოს დანიშვნასთან ერთად გამოჩნდნენ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში — ვამპეტა და მარკოს ასუნსაო. კითხვაზე პასუხის გაცემასთან ერთად ჩვენ ამ ჯერჯერობით არცთუ ცნობილ მოთამაშეებს უფრო ახლოს გავეცნობით. ამის დრო აშკარად მოვიდა, ვინაიდან მრავალთა აზრით, ისინი ბრაზილიური ნახევარდაცვის ახალ ერას უყრიან საფუძველს.

# ეშმაკი ვამპირი და მაგარი ბიჭი



ვამპეტა



ვანდერლეი ლუქსემბურგო



მარკოს ასუნსაო

საფრანგეთი 98-ის დაწყებამდე ლეგენდარულმა ტოსტაომ ჟურნალ „უორლდ სოკერში" განაცხადა:

— ინდივიდუალურად ბრაზილიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი შესანიშნავად არის მომზადებული. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყავს. მაგრამ ამით დაკმაყოფილება ძალიან დიდ შეცდომად მიმაჩნია. გუნდი ტაქტიკურად ვერ არის გამართული, აკლია ურთიერთგაგება, შეთამაშებულობა. ეს კი შეიძლება დამღუპველი გამოდგეს მისთვის.

საბოლოოდ ტოსტაოს ვარაუდი გამართლდა. შეიძლება ვინმესთვის პლანეტის ვიცე-ჩემპიონობა არნახული წარმატება იყოს, მაგრამ არა ბრაზილიელთათვის. მათთვის ერთადერთი მისაღები შედეგი ხომ ჩემპიონობა, პირველობაა.

ფინალამდე ბრაზილიელებმა ერთეული ფეხბურთელების პერიოდული „აფეთქებებით" მიაღწიეს. ხან რონალდო გაიბრწყინებდა, ხან რივალდო, ხანაც სეზარ სამპაიო და გუნდიც წინ მიიწევდა. ოღონდ ერთი რამ აშკარად იგრძნობოდა — ზაგალოს შეგირდებს ჩემპიონობა არ ეწერათ და ასეც მოხდა. 12 ივლისს ვერც ერთმა ბრაზილიელმა ვერ აიღო ლიდერობა ხელში და გუნდიც ცხვრის ფარას დაემსგავსა...

სწორედ დიდ ცხვრის ფარას ჰგავს ბრაზილიის ჩემპიონატიც. იქ არსებული მდგომარეობის გამოხატვა ერთი სიტყვითაც შეიძლება — ქაოსი.

ქვეყნის პირველობაში მონაწილე კლუბებმა ზუსტად არ იციან, როდის, სად და ვისთან ითამაშებენ. მათ თავკაცებს მუდმივმად თან სდევთ შიში. ზედიზედ ორი-სამი წაგებული მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტი ბრაზდება და მწვრთნელიც უმუშევარი რჩება. შედეგად ფეხბურთელები იბნევიან — ყოველ ახალ სპეციალისტს თავისი გეგმა და ტაქტიკა აქვს და მოთამაშეებიც ერთის აზრების გაცნობას ვერ ასწრებენ, რომ მეორე იწყებს საკუთარი გეგმის განხორციელებას. ფეხბურთელთა უმრავლესობა კლუბს ყოველ ექვს თვეში იცვლის.

ერთი სიტყვით, ბრაზილიაში არ არის ერთი, ჩამოყალიბებული სისტემის შექმნის არც დრო, და არც პირობები. ეს ეროვნულ გუნდსაც აშკარად დაეტყო, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში.

სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას აპირებს ვანდერლეი ლუქსემბურგო.

— დღესდღეობით, ნახევარმცველი მარტო მოედნის შუაგულში თამაშით არ უნდა შემოიფარგლოს. მან თავიც უნდა დაიცვას და შეუტიოს კიდეც. საფრანგეთში მყოფი ბრაზილიელი შუახაზელების ყურება ერთი საცოდაობა იყო, მათ არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მოქცეოდნენ ბურთს. არ არის საკმარისი, თქვა — მე 3-5-2 ან 4-4-2 სისტემით ვთამაშობ. მთავარია, არსებობდეს გუნდი, რომელიც თამაშს სურვილისამებრ წარმართავს.

ამის მაგალითად ლუქსემბურგოს ჰოლანდიის ნაკრების მაგალითი მოჰყავს. განსაკუთრებით იგი ფილიპ კოკუთი ყოფილა მოხიბლული. გარდა მშვენიერი ნახევარმცველობისა, იგი შეტევაშიც სასარგებლო იყო და დაცვის მარცხენა ფრთასაც აკონტროლებდა. „ბარსელონაში" კი კოკუ სულაც ცენტრალურ მცველად მოგვევლინა.

— რა საჭიროა გყავდეს ორი ფეხბურთელი დაცვასა და შეტევაში, როდესაც ამ სამუშაოს ერთიც მშვენივრად ართმევს თავს? — კითხულობს ლუქსემბურგო.

ამ კითხვაზე პასუხი მალე გამოჩნდა — ვამპეტა. ეს ფეხბურთელი ადრე კოკუსთან ერთად თამაშობდა „ეინდჰოვენში" და საკმაოდ თბილად იხსენებს იმ დროს.

— დიდებული იყო ჰოლანდიაში თამაში, თანაც ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „ეინდჰოვენია". მაშინ კოკუ ჩემი თანაგუნდელი იყო, მისით დღესაც კი აღფრთოვანებული ვარ. ასეთი ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი საერთოდ არ მინახავს. უამრავ პოზიციაზე მოქმედებდა და პირველ რიგში გუნდისთვის აკეთებდა სასიკეთო საქმეს. კოკუ ის ფეხბურთელია, რომელსაც ძალიან მინდა დავემსგავსო.

ვამპეტა „ეინდჰოვენში" 1994 წელს გამოჩნდა ჯერ კიდევ უცნობ რონალდოსთან ერთად.

— ჩემი ადგილის მოძებნა გამიჭირდა. შესაბამისად, ხან სად მიწევდა მოქმედება, ხან სად. ვფიქრობ, მაშინდელი ეს პრობლემა განვითარებაში ძალიან დამეხმარა, უნივერსალურ ნახევარმცველად ჩამოვყალიბდი.

ბრაზილიელმა მართლაც სწრაფი პროგრესი განიცადა. მისით კლუბის ხელმძღვანელობაც კმაყოფილი იყო და გულშემატკივრების კერპიც გახდა. ასე რომ, ვამპეტას წარმატებული ევროპული კარიერის შანსი მიეცა, თუმცა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — სამშობლოში დაბრუნდა. ლუქსემბურგომ მასში დიდი პოტენციალი შენიშნა, ჯერ კიდევ გამოუყენებელი და თავის კლუბში „კორინთიანსში" წაიყვანა. ეს გასული წლის დასაწყისში მოხდა. ბრაზილიელთა თავკაცის აზრით, ვამპეტა თანამედროვე შუახეზელის ტიპიური მაგალითია — შეუძლია ყველგან თამაში, დიდებულად ფლობს ბურთს, ანუ ტექნიკურია, ბოლომდე იბრძვის, იდეალურად ხედავს მოედანს და შედეგად პასებსაც კარგს აკეთებს.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელის გადაწყვეტილება სწორი იყო და ლუქსემბურგოსაც გაუმართლა. გასულ სეზონში ვამპეტა „კორინთიანსის" სული და გული გახლდათ და კლუბის გაჩემპიონებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

როგორც უკვე ვთქვით, ლუქსემბურგოს ნაკრების სათავეში მისვლისთანავე გუნდში ვამპეტაც გამოჩნდა. სანამ მის სანაკრებო გამოსვლაზე ვისაუბრებდეთ, გეტყვით, რომ ვამპეტა ამ ფეხბურთელის მეტსახელია, წარმოქმნილი ორი საინტერესო სიტყვისგან — „ვამპირა", რაც ბრაზილიურად ვამპირს ნიშნავს და „კაპეტა" ანუ ეშმაკი.

დებიუტმა იუგოსლავიელებთან ამხანაგურ მატჩში (1:1) ყველა კმაყოფილი დატოვა, მეორე შეხვედრაში ეკვადორის ეროვნულ გუნდთან კი (5:1) ვამპეტა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მის დიდებულ, მხოლოდ ბრაზილიელთათვის დამახასიათებელ დიაგონალურ პასზე, რომლის შემდეგაც კაფუმ გოლი გაიტანა, მთელს სამხრეთ ამერიკაში საუბრობდნენ.

— ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ბრაზილიის ეროვნული გუნდის მაისურით თამაში, მეტიც, ეს ყოველთვის ჩემი თვითმიზანი იყო — თქვა ვამპეტამ და როდესაც საკლუბო მომავალზე ჰკითხეს, დაამატა — ჯერჯერობით არ ვიცი, შეიძლება ევროპაში დავბრუნდე.

ამგვარად ჩავთვალოთ, რომ ახალი ბრაზილიური ნახევარდაცვის ერთ საყრდენს უკვე გავეცანით. ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ. ახლა კი მეორეზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ისიც ლუქსემბურგოს რჩეულია, „ფლამენგოში" გამოდის და მარკოს ასუნსაო ჰქვია. ბრაზილიელთა დამრიგებლის აზრით, იგი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ფეხბურთელმა ბურთით და უბურთოდ.

— არ არის საკმარისი მარტო დაცვაზე, ანაც შეტევაზე ფიქრი — ამბობს იგი — ნახევარმცველმა მთელი მოედანი უნდა დაიპყროს. სწორედ ეს არის ჩემი საბოლოო მიზანი. დღესდღეობით ჩემი დაცვითი თამაში სავსებით დამაკმაყოფილებელია, გარკვეული პრობლემები შეტევის წამოწყებისას მექმნება-ხოლმე.

ასუნსაომ ჩინებულად ჩაატარა იუგოსლავიელებთან შეხვედრა. იგი სწრაფ, მოქნილ მეტოქეს ბრაზილიელთაგან საუკეთესოდ უმკლავდებოდა და სლავების კარის მუქარისთვისაც პოულობდა დროს. სხვათა შორის, მატჩისშემდგომი რეზონანსით, განსაკუთრებით პრესაში, იგი უკმაყოფილო დარჩა, თქვა, ჩვენთან თავდამსხმელებს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ნახევარმცველებს, რაც მეტად საწყენიაო.

ბრაზილიური ფეხბურთის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ლამაზი ფინტები და დრიბლინგია. ასუნსაოს ამ საკითხზეც გააჩნია საკუთარი აზრი.

— ნახევარდაცვა არ არის პოზიცია, სადაც დრიბლინგი გამართლებულად ჩაითვლებოდა. ხოლო თუ მაინც გაბედავ, მაშინ სახიფათო ზონაში ბურთის დაკარგვას რისკავ — მეტოქეს კონტრშეტევის შექმნის შესაძლებლობას აძლევ, ხოლო საკუთარ კარს საშიშროებას უქმნი. პირადად მე, როდესაც ჩემს საჯარიმოში ბურთს ვიღებ, პარტნიორებს ვეძებ, რათა რაც შეიძლება სასრაგებლო პასი მივაწოდო — ეს არის უადვილესი გზა გოლის გასატანად.

ყველაფერთან ერთად „ფლამენგოს" ლიდერს კიდევ ერთი დადებითი თვისება გააჩნია — შესანიშნავად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს. ახლოდანაც (ტექნიკურად) და შორიდანაც (ძლიერად).

— ეს ჩემი სტიქიაა — ამბობს ასუნსაო, რომელიც თითქმის ყოველდღე, ვარჯიშის შემდეგ მინდორზე რჩება და საჯარიმო დარტყმებს ხვეწს.

მიუხედავად ამისა, იუგოსლავიასთან თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცა, ვინაიდან ნაკრებში დაბრუნებულმა მარსელინიო კარიოკამ პირველივე ჯარიმა თავად დაარტყა და გოლიც გაიტანა. ამის მერე სტანდარტულ სიტუაციებს სულ მარსელინიო ასრულებდა. თუმცა, თუ ამ უკანასკნელის მერყევ ხასიათს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში რაიმეს „ჩაიდენს" და ასუნსაოსაც გაიცნობს საფეხბურთო სამყარო ჯარიმების უბადლო შემსრულებლის რანგში.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებს სულ უფრო იშვიათად გააქვთ ჯარიმიდან (თუნდაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი გავიხსენოთ, სადაც რობერტო კარლოსის, რივალდოს, დუნგას პატრონმა სამხრეთამერიკელებმა უამრავი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან), ამიტომ ასუნსაოს ეს თვისებაც ერთიორად ფასობს.

საფრანგეთი 98-ზე ზაგალომ რატომღაც ჯოვანი, დორივა და ემერსონი წაიყვანა. ამის ფონზე მარკოს ასუნსაოს სამშობლოში დატოვებას ბრაზილიელი ფეხბურთის სპეციალისტები დიდ შეცდომად მიიჩნევენ, არაფერს ვამბობთ რომარიოსა და ჟუნინიოს ნაკრებიდან მოკვეთაზე.

— იმედი მქონდა, რომ გამომიძახებდნენ და როცა საბოლოო განაცხადი ვნახე, გული საშინლად დამწყდა. არა უშავს, მთავარია, მომავალში მოვხვდე შემადგენლობაში და დავამტკიცო — მარკოსი მაგარი ბიჭია.

„მაგარი ბიჭის" დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გავიგეთ, ბიჭისა, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და რომელზეც მთელი ბრაზილია ამყარებს იმედს, რაც მთავარია, მისი ვანდერლეი ლუქსემბურგოს სჯერა. სჯერა „ეშმაკი ვამპირის", ვამპეტასიც. სწორედ ამ ორ ფეხბურთელზე აპირებს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა თავკაცი მომავალი გუნდის აშენებას. მათ ძალიან რთული მისია ეკისრებათ — კაფუს, ჟუნიორ ბაიანოს, რობერტო კარლოსს საერთო ენა უნდა გამოუნახონ რივალდოსთან, ლეონარდოსთან, ედმუნდოსთან, რონალდოსთან...

მოამზადა
დავით ქოჩზირიძემ

## ინგლისი

### ლიგის თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**სანდერლენდი 1:2 ლესტერი**

0:1, 0:2 კოტი (31, 62), 1:2 მაკკენი (75)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, მელვილი, გრეი, მაკკენი, კლარკი (სმიტი 63), ბოლი, ჯონსტონი (სამერბი 63), ფილიპსი, ქუინი
ლესტერი: კელერი, ელიოტი, ტაგარტი, უოლში, სინკლერი (კამარკი 60), იზეტი, ლენონი, ალსორნი, გაპი, კოტი, ჰესკი (უილსონი 58)
გაფრთხილება: ლენონი
მსაჯი: ბარბერი

„სინათლის" სტადიონი მარტო ავჭალაში არ არის. ლონდონის ერთ-ერთ სარბიელსაც „სინათლე" ეწოდება. ლიგის თასის ნახევარფინალური შეხვედრა პირველდივიზიონელ „სანდერლენდსა" და ამავე თასის 1997 წლის მფლობელ, პრემიერლიგელ „ლესტერს" შორის სწორედ „სინათლეზე" შედგა.

სტუმრები, რომლებიც გასულ უქმეებზე „ქოვენთრიმ" ასოციაციის თასის გათამაშებიდან გამოთიშა, მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ და მოიგეს კიდეც. თავდამსხმელმა ტონი კოტიმ თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანა და „სანდერლენდს" ჯაფა წყალში ჩაუყარა. სკოტ მაკკენის ძალიან ლამაზმა გოლმა, საჯარიმო დარტყმიდან რომ გავიდა, მასპინძლები მარცხისგან ვერ იხსნა.

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

**ბოლონია 0:1 იუვენტუსი**

0:1 დავიდსი (78)
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, პაგანინი, მანონი, პარამატი (ბოსელი 17), კაპიოლი, ინგესონი, მაროკი, ფონტოლანი, სიმუტენკოვი (ბინოტო 60), კოლივანოვი (სინიორი 84)
იუვენტუსი: დე სანტისი, მირკოვიჩი, ტუდორი, იულიანო, პესოტო (ესნაიდერი 46), დი ლივიო, ბლანშარი, ტაკინარდი, პეროტა (დავიდსი 74), ამორუზო (რიგონი 59), ანრი
გაფრთხილება: ფონტოლანი, სინიორი
გაძევება: ფონტოლანი
მსაჯი: რაკალბუტო

ძლივს! „იუვენტუსმა" ამ სეზონში პირველად დაამარცხა „ბოლონია", თუმცა ტურინულ კლუბთ ამის არაფერი მიემატა. მატჩმა შესუსტებულ „ბებერ ქალბატონს" არც ასე საჭირო სამი ქულა მისცა და არც თასის გათამაშების შემდეგ წრეში გაიყვანა — პირველი შეხვედრა ტურინში „ბოლონიას" მოეგო 2:1 და ნახევარფინალში გასვლაც თითქმის განაღდებული ჰქონდა.

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა 78-ე წუთზე დაამწუხრა მასპინძელთა კარის დარაჯი ფრანჩესკო ანტონიოლი. მანამდე გუნდები ერთმანეთს წარუმატებლად უტევდნენ. „იუვენტუსი" ნახევარფინალში რომ გასულიყო, მერე გოლიც უნდა გაეტანა. მაგრამ არ მოხერხდა. სხვათა შორის, ბოლო წუთებში „ბოლონია" ათი კაცის ამარა დარჩა — დავიდე ფონტოლანი მსაჯმა ორი გაფრთხილების გამო გააგდო. რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენილ იტალიის ჩემპიონს მაინც არაფერმა უშველა. „იუვენტუსი" გათამაშებას გამოეთიშა.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში „იუვენტუსი" ერთხელ უკვე ეწვია ბოლონიას, თუმცა 0:3 დამარცხდა. იანვრის დასაწყისში თასის გათამაშების პირველ შეხვედრაშიც უმასპინძლა მეტოქეს, მაგრამ კვლავ წააგო — 1:2. ახლა კი მესამე ცდაზე იმარჯვა.

თურმე ტურინელები ნახევარფინალში გასვლას არც ელოდნენ. კლუბის თავკაცმა მარჩელო ლიპიმ თავისი ზრახვები გაანდო ჟურნალისტებს — წლევანდელ სეზონში ჩემპიონთა თასისთვის ვიბრძოლებთ და შევეცდებით, ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორებიც გავხდეთო.

ამჟამად „იუვენტუსი" 11 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ფიორენტინას".

თასის მეოთხედფინალის ერთი შეხვედრა „ფიორენტინასა" და ბერგამოს „ატალანტას" შორის დღეს გაიმართება. „ბოლონია" სწორედ ამ პაექრობის შემდეგ შეიტყობს მეტოქის ვინაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არმც და არამც და ორი მსაჯი



გერჰარდ აიგნერი

ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა გაერთიანებამ ანუ უეფამ კიდევ ერთხელ გაილაშქრა ფიფას ახალი პრეზიდენტის, შვეიცარიელი იოზეფ ბლატერის იმ გეგმის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს.

უეფას გენერალურმა მდივანმა გერმანელმა გერჰარდ აიგნერმა მოაწყო საგანგებო პრეკონფერენცია, რომელზეც ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოს პირველობის ორწლიან ციკლზე გადასვლით ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ დაკნინდება.

„ჩვენმა აღმასკომმა ერთი დადებითი მარცვალიც ვერ აღმოაჩინა ფიფას პრეზიდენტის წინადადებაში. ორ წელიწადში ერთხელ გამართვით ვერც ევროპული ფეხბურთი მოიგებს რამეს და ვერც თავად მსოფლიოს ჩემპიონატი" — თქვა მან.

აიგნერმა ბრძანა, რომ უეფა აპირებს თავისთან მიიწვიოს იოზეფ ბლატერი და დაწვრილებით ალაპარაკოს თავისი იდეის შესახებ.

საგულისხმოა, რომ უეფას აღმასკომმა სხდომა, რომელიც აიგნერმა ახსენა, სამხრეთ აფრიკაში გამართა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა 17 წლამდელთა შეჯიბრებამ, „მერიდიანის თასმა" განაპირობა, რომელშიც მონაწილეობას ოთხი აფრიკული და ამდენივე ევროპული გუნდი მიიღებს.

როდესაც ჟურნალისტებმა უეფას გენერალურ მდივანს ჰკითხეს, კონკრეტულად რა არ მოსწონს ფიფას გენერალური მდივნის გეგმაში, აიგნერმა უპასუხა:

„არმოწონების უამრავი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ ორ წელიწადში ერთხელ გამართვით მსოფლიოს ჩემპიონატი ღირებულებას დაკარგავს."

ეს რაც შეეხებოდა მსოფლიოს ჩემპიონატს. ფეხბურთის წესების განახლებასთან დაკავშირებით კი უეფას თავისი პროექტი აქვს და წესთა შემოქმედი ჯგუფისგან ნებართვას მოითხოვს. თუ ჯგუფმა წყალობა მოიღო, 20 თებერვალს კარდიფში დანიშნულ ყოველწლიურ შეხვედრაზე უეფა ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომ გაოცებისგან შეიძლება ყველამ პირი დააღოს.

საუბარია მატჩების ორი მსაჯით მომსახურებაზე, რომელიც დაუყოვნებლივ დაინერგება.

„ზედმეტ დეტალებს ამჯერად ნუ ჩავწვდებით, ზოგადად ვთქვათ, რომ თამაშების ორი მსაჯით მომსახურება უეფას იდეალებს ეხმიანება, რამეთუ ჩვენი სურვილია ელექროტექნიკის დანერგვამდე ადამიანური რესურსები ამოვწუროთ" — განაცხადა უეფას წარმომადგენელმა.

მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯებმა უამრავი წითელი და ყვითელი ბარათი აღმართეს, რაც დამკვირვებელთა აზრით იმის ბრალია, რომ ერთი არბიტრი ყველაფრის ზუსტად შეფასებას ველარ ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ მატჩების ერთი მსაჯით მომსახურება ინგლისში პირველად 1935 წელს სცადეს, მაგრამ დანერგვით არ დანერგილა.

გარდა ამისა, უეფამ დაადგინა, რომ ბოსნია აღმოსავლეთ ევროპის დახმარების პროგრამაში უნდა ჩაერთოს და ამ პროექტის მე-13 ქვეყანა გახდეს.

გაირკვა 16 წლამდელთა ევროპის რამდენიმე უახლოესი ჩემპიონატის ჩატარების ადგილიც.

# პაოლო ჩაქუჩი ხდება



REUTERS ლონდონიდან

მსაჯთა რისხვა პაოლო დი კანიო ახალი გუნდის ფორმაში ახალ თანაგუნდელთან კამერუნელ მარკ ვივიენ ფოესთან ერთად

იტალიელთათვის დამახასიათებელი (მერყევი) ხასიათის მქონე „შეფილდ უენსდეის" აპენინელი თავდამსხმელი პაოლო დი კანიო კარიერას სავარაუდოდ ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში" გააგრძელებს. თბილისის „დინამოს" 18 წლის წინანდელმა მეტოქემ დი კანიოს სანაცვლოდ შეფილდელებს 1,5 მილიონი გირვანქა ანუ 2,48 მილიონი დოლარი შესთავაზა — იუწყება ინგლისური პრესა.

გარდა იმისა, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთელია, პაოლო თავისი გამოხდომებით და ზედმეტი ემოციურობით არის ცნობილი. ბოლოს მისმა სახელმა შარშან სექტემბერში დაიქუხა. მაშინ „შეფილდი" ქვეყნის ჩემპიონ ლონდონის „არსენალს" ხვდებოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქე გუნდების რამდენიმე ფეხბურთელმა საქმის გარჩევა დაიწყო, მათ დაშომშინებას მატჩის არბიტრი პოლ ელკოკი შეეცადა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე აღელვებული იტალიელი გამოჩნდა და, შეიძლება ითქვას, ცეცხლზე ნავთი დაასხა — ელკოკს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ხანგრძლივი დებატების შემდეგ დი კანიო 11-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

რაც შეეხება თავად ფორვარდს და მის პოზიციას საკუთარ მომავალთან დაკავშირებით, იგი ჯერჯერობით საკმაოდ სიტყვაძუნწია. მხოლოდ ეს თქვა, დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ მშობლიურ ქალაქ ტერნიში დავბრუნდები და სტრესს გადავლახავო.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIII ტური

30 იანვარი-1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ჩელსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ბლექბერნი — ტოტენჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქოვენთრი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ევერტონი — ნოტინგემი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მანჩესტერი — ჩარლტონი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,45 | 3,4 | 4,0 |
| მიდლსბრო — ლესტერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ნიუკასლი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| შეფილდ უენსდეი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| საუთჰემპტონი — ლიდსი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIX ტური

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ბრედფორდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბოლტონი — ნორვიჩი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ქრიუ — შეფილდ იუნაიტედი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ჰადერსფილდი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ოქსფორდი — ბარნსლი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ქუინზ პარკი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სტოკპორტი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სვინდონი — ბერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ტრანმერი — კრისტალ პალასი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| უოტფორდი — სანდერლენდი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ვესტ ბრომვიჩი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| იფსვიჩი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| უდინეზე — ბოლონია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რომა — ემპოლი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| პიაჩენცა — ინტერი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| კალიარი — იუვენტუსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ბარი — ლაციო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| მილანი — სალერნიტანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| პერუჯა — სამპდორია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პარმა — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ფიორენტინა — ვიჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XX ტური

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიევო — ტრევიზო | 3,6 | 2,7 | 2,0 |

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯენოა — ატალანტა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| ჩეზენა — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ტორინო — კრემონეზე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| რეჯინა — ლეჩე | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| ლუკეზე — მონცა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| კოზენცა — ნაპოლი | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| ფ. ანდრია — რავენა | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| რეჯანა — ტერნანა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პესკარა — ვერონა | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

30-31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოვიედო — სოსიედადი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტენერიფე — ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მალიორკა — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 2,9 | 3,5 |
| ატლეტიკო — ვალენსია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| დეპორტივო — სელტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვილიარეალი — რეალი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ვალიადოლიდი — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარსელონა — რასინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — სარაგოსა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბეტისი — ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXII ტური

30-31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორენსე — სევილია | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| რეკრეატივო — კომპოსტელა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| მერიდა — ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლეგანესი — ლეიდა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბადახოსი — ლოგრონიესი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ოსასუნა — რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ატლეტიკო B | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბარსელონა B — მალიორკა B | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ალბასეტე — ლას პალმასი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტოლედო — სპორტინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| ეიბარი — მალაგა | 3,5 | 2,8 | 2,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური

29-31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — რენი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ბორდო — მარსელი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| მონაკო — პარი სენ ჟერმენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლორიანი — ნანტი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ნანსი — მონპელიე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლანსი — ლიონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სტრასბური — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სოშო — ოსერი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ტულუზი — მეცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XX ტური

29 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეირა მარი — ბენფიკა | 6,0 | 3,3 | 1,5 |

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფარენსე — პორტუ | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| რიუ ავე — სეტუბალი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ბოავიშტა — კამპომაიორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — შავეში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მარიტიმუ — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალვერკა — ლეირია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სპორტინგი — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| გიმარაეში — სალგეირუში | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXII ტური

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| შარლერუა — ოსტენდე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გენკი — გენტი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| ვესტერლო — ჰარელბეკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| მუსკრონი — ლოკერენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბევერენი — ლიერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ტრუიდენი — აალსტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — სტანდარდი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ეკერენი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბრიუგე — ანდერლეხტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| სელტიკი — სენტ ჯონსტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| კილმარნოკი — დანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ჰოკეი. NHL

29 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| აილენდერსი — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტამპა ბეი — დალასი | 3,0 | 4,4 | 1,5 |

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — ვაშინგტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| მონრეალი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ოტავა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნიუ ჯერსი — ნეშვილი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფილადელფია — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| პიტსბურგი — ბოსტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფლორიდა — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| დეტროიტი — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კალგარი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კოლორადო — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ედმონტონი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,7 | 4,4 | 2,4 |

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი — დეტროიტი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| რეინჯერსი — ვაშინგტონი | 1,45 | 4,4 | 3,2 |
| ფილადელფია — ლოს ანჯელესი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ედმონტონი — სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ვანკუვერი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — კალგარი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| სან ხოსე — ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



20

# გივი ჩოხელი

# საბჭოთა ნაკრების პირველი ქართველი მცველი

*გივი ჩოხელმა ძალიან ადრე, 26 წლისამ დატოვა დიდი ფეხბურთი, მაგრამ მის ისტორიაში მაინც ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ დარჩა. თელაველი ჭაბუკის გამოჩენა თბილისის „დინამოში" მოულოდნელი იყო. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდს უფრო დასავლეთ საქართველოს რეგიონები კვებავდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელებით და კახეთიდან ასეთი დონის ფეხბურთელის გამოჩენას არავინ ელოდა.*

*გივი ჩოხელმა თამაში თელავში დაიწყო და 1956 წელს, 19 წლისა, მიიწვიეს თბილისის „დინამოში". იმ დროს დინამოელებს ძლიერი დაცვის ხაზი ჰყავდათ ვლადიმერ ელოშვილის, ნიაზ ძიაპშიპას, იბრაჰიმ სარჯველაძის შემადგენლობით. წინა წელს სარჯველაძის ადგილი დაცვის მარცხნივ ახალგაზრდა გივი ხოჭოლავამ დაიკავა. გივი ჩოხელისთვის კი, რომელიც ცენტრალურ მცველად თამაშობდა, ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილის მოპოვება ძნელი იყო. ჩოხელი შემდეგ წელს გამოჩნდა „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში, როდესაც ნიაზ ძიაპშპამ ტრავმა მიიღო. 1958 წელს კი 21 წლის გივი ძირითადი შემადგენლობის სრულუფლებიანი წევრი გახდა. 22-დან 18 მატჩი ითამაშა სეზონში და სამი გოლიც გაიტანა.*



ჩოხელმა მყისვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. ეს გახლდათ მეტად ტექნიკური და ჭკვიანი მცველი, ამ ამპლუის ფეხბურთელისთვის ფასდაუდებელი ინტუიციით და თავით ჩინებულად მოთამაშე. ჩოხელი უკვე ადრეულ ასაკში გამოირჩეოდა სათამაშო სიბრძნით და დაცვის ნებისმიერ ადგილზე შეეძლო თამაში.

1958 წელს სათავე აიღო ახალმა საფეხბურთო ტურნირმა — ევროპის თასმა (შემდგომში ევროპის ჩემპიონატი). საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით განვლო წინასწარი შეხვედრები და ნახევარფინალში გავიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გუნდმა ფინალურ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვა (ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 1980 წლამდე მხოლოდ ნახევარფინალისტები მონაწილეობდნენ).

ფინალური ეტაპი საფრანგეთში გაიმართა. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრების მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები იყო. სწორედ ასეთი მაღალი რანგის შეხვედრაში, 1960 წლის 6 ივლისს, მარსელში შედგა 23 წლის თბილისის დინამოელი მცველის დებიუტი საბჭოთა კავშირის ნაკრებში და იმდენად შთამბეჭდავი, რომ შემდეგ სამი წლის განმავლობაში ჩოხელმა მხოლოდ ორი შეხვედრა გამოტოვა ნაკრების შემადგენლობაში და მუდმივად და უკონკურენციოდ პირველობდა საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში მარჯვენა მცველის ადგილზე.

სლოვაკიის ნაკრები ძლიერი გუნდი იყო. მასში ევროპული კლასის საკმაოდ მაღალი დონის მოთამაშენი გამოდიოდნენ — პოპლუხარი, მასოპუსტი, პლუსკალი, კვაშნიაკი, ბუბერნიკი, ბროიფი. სწორედ ამ გუნდმა შეძლო ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, როცა პირველობა მხოლოდ ბრაზილიის ბრწყინვალე გუნდს დაუთმო. ჩოხელმა შესანიშნავი თამაში აჩვენა. საბჭოთა ნაკრებმა 3:0 დაამარცხა ძლიერი მეტოქე და ფინალში გავიდა.

ფინალში, რომელიც პარიზში გაიმართა, მათი მეტოქე იუგოსლაველთა ნაკრები იყო. იუგოსლაველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ მაღალი ტექნიკით და მათ გუნდშიც ასეთი მოთამაშეები მრავლად იყო. განსაკუთრებით წინა ხაზზე. ნახევარდაცვას ვირტუოზი დრაგოსლავ შეკულარაცი მეთაურობდა, წინ კი შესანიშნავი ოსტატები — გალიჩი, ერკოვიჩი და კოსტიჩი გამოდიოდნენ. ამ გუნდმა შეუძლებელი შეძლო ნახევარფინალში, როცა მასპინძლებთან, ფრანგებთან 2:4-ს აგებდა, სამი გოლი გაუტანა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ჩოხელს მარცხენა გარემარბ კოსტიჩის წინააღმდეგ მოუწია გამოსვლა, რომელიც დრაგან ჯაიჩის გამოჩენამდე იუგოსლავიის ყველა დროის საუკეთესო მარცხენა გარემარბად ითვლებოდა. გივიმ მთლიანად გამოთიშა თამაშიდან კოსტიჩი. მატჩის შედეგი კი ყველამ იცით. ერკოვიჩის გოლს მეტრეველმა და მესხის შესანიშნავი გადაცემით პონედელნიკმა ორი გოლით უპასუხეს და საბჭოთა ნაკრები ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა. ამ უდიდეს წარმატებაში გრანდიოზული წვლილი შეიტანა სამმა შესანიშნავმა ქართველმა ფეხბურთელმა — მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმა.

1962 წელს, ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩოხელი უკვე უყოყმანოდ ითვლებოდა ნაკრების პირველ ნომრად, მაგრამ პირველ შეხვედრაში იუგოსლაველებთან რატომღაც მის ადგილზე ედუარდ დუბინსკი დააყენეს. საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა — 2:0, თუმცა ამას რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის დუბინსკიც შეეწირა — ნეკნი ჩაიტეხა. კოლუმბიის სუსტ გუნდთან ნაკრებს მითითება მიეცა, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით გაემარჯვა ბოლო ტურში ურუგვაელებთან შესაძლო ძნელი მატჩის გამო. საბჭოთა კავშირის ნაკრები ჯერ 3:0-ს, შემდეგ 4:1-ს იგებდა, მაგრამ მოულოდნელად კოლუმბიელებმა ბოლო 20 წუთში სამი გოლი გაიტანეს და მატჩიც 4:4 დასრულდა. ამ თამაშმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, რუსების კერპმა ლევ იაშინმა ძალიან სუსტად ითამაშა და მის პრესტიჟს რომ გაფრთხილებოდნენ, ზოგიერთმა რუსულმა გაზეთმა სხვა დამნაშავეების ძებნა დაიწყო. კერძოდ, კოლუმბიელების კუთხურიდან გატანილ გოლში გივი ჩოხელს ადანაშაულებდნენ, რადგან იაშინმა მას დაუყვირა — „ბერი!" (აიღე!) ჩოხელმა კი „ბერუ" (ვიღებ) გაიგო, ბურთი გაატარა და გოლიც ამიტომ გავიდაო. თუმცა ფეხბურთის მცოდნე ადამიანი უმალ მიხვდება, რომ თუ მცველი ისედაც ილებს ბურთს, მას მეკარე ამის გამო არ უყვირის. და ეს რომ ასე იყო, შემდეგში თვითონ იაშინმაც დაადასტურა. ობიექტურობით არც თუ ისე გამორჩეული ანდრეი სტაროსტინი კი წერდა, რომ ეს შედეგი არა იმდენად დაცვის ბრალი იყო, რამდენადაც თავდამსხმელების, რომელთაც რაკი მიეცათ მითითება, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოეგოთ, ბედის ანაბარა დატოვეს უკანა ხაზის მოთამაშეები.

ბოლო მატჩი საბჭოთა გუნდს ურუგვაელებთან ჰქონდა. ურუგვაელები ჩემპიონატზე დიდი ტაშფანდურით ჩამოვიდნენ და აცხადებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა დავიბრუნოთო. მსოფლიოს ჩემპიონობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მათ არც თუ ისე ცუდი გუნდი ჰყავდათ, სადაც თავდამსხმელები — კუბილა, სასია, კორცესი და პერესი გამოირჩეოდნენ.სწრაფი და ტექნიკური, დაბალი ტანის მარცხენა გარემარბმა პერესმა წინა მატჩებში საუკეთესოდ ითამაშა და იუგოსლაველებთან წაგებულ მატჩშიც კი კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ჩოხელთან არც მას გაუვიდა რამე. იგი საერთოდ არ ჩანდა მოედანზე და ურუგვაელთა შეტევებსაც დიდი ძალა გამოეცალა. საბჭოთა ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა და მეოთხედფინალში მასპინძლების, ჩილელების წინააღმდეგ დადგა.

ამ შეხვედრამ კი ყველა ეჭვი გაფანტა და დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე მეკარე იაშინი, რომელიც შემდეგ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მართლაც არ იყო ფორმაში. იაშინმა ორი კურიოზული გოლი გაუშვა და ნაკრებიც გამოეთიშა მსოფლიოს პირველობას. ეს გივი ჩოხელის უკანასკნელი მატჩი აღმოჩნდა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში.

თბილისის „დინამოში" კი მან კიდევ ერთი სეზონი ჩაატარა. ჩოხელის შესანიშნავ თამაშს არაერთხელ მოუხიბლავს მაყურებელი. მე კი ზუსტად ამ სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი შეხვედრა დამამახსოვრდა.

დინამოელები საკუთარ მოედანზე თავისთვის ერთ-ერთ ძნელ მეტოქეს — დონეცკის „შახტიორს" ხვდებოდნენ. პირველ მატჩში გივი ჩოხელის შეცდომის გამო (ბურთი თავზე გადაახტა) დონეცკელმა იური ანანჩენკომ ანგარიში გახსნა. დინამოელებმა მალე აიღეს მატჩის სადავეები ხელთ და დონეცკელებს შეუტიეს, მაგრამ პირველი ტაიმი ასეც დამთავრდა 0:1.

მეორე ნახევარში დინამოელები მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ, შეტევას შეტევა მოსდევდა, ერთიმეორეზე ულამაზესი მომენტები ენაცვლებოდა ერთმანეთს დონეცკელთა კართან, მაგრამ გოლი არა და არ გაუდიოდა. ჩოხელი, რომელიც გრძნობდა თავის შეცდომას, უკვე შეტევების სული და გული იყო. ყველა თავგამოდებით იბრძოდა... მიხეილ მესხის გარდა. მიშა რატომღაც უგუნებოდ იყო და პრაქტიკულად არ მონაწილეობდა გუნდის თამაშში. თერთმეტი წუთით ადრე დონეცკელთა კარში პენალტი დაინიშნა. მაყურებელი ელის, რომ ბოლოს და ბოლოს სამართალი პურს სჭამს — ხომ არ შეიძლება ამდენი უიღბლობა. შოთა იამანიძე ურტყამს და... ბურთი კარს ასცდა. ვნებათაღელვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და აქ დონეცკელებს თავისი მცველის უხეიროდ მოგერიებული ბურთი ძვირად დაუჯდათ. ბურთი მესხს მოხვდა ცხვირში და სისხლი წასკდა, იგი გაბრაზდა, ჩაერთო გუნდის შეტევებში ისე, როგორც მას სჩვეოდა — მარცხენა ფრთას ბდღვირი ადინა. მატჩის დასასრულამდე 6 წუთილაა დარჩენილი. მიშა გადის მარცხენა ფლანგზე. ორ მეტოქეს ატყუებს, აწვდის საჯარიმოს შუაში და ანგარიში თანაბრდება 1:1. გოლის ავტორი? მიხვდებოდით, გივი ჩოხელი. ალბათ, სხვანაირად არც შეიძლებოდა, იმდენი ძალა შეალია მან თავისი შეცდომის გამოსწორებას. ბოლო წუთზე კი ისევ მესხის გარღვევის შემეგ სიომა ბარქაიას გადამწყვეტი გოლი გააქვს. მართლაც დაუვიწყარი მატჩი იყო.

იმ 1963 წელს, ალბათ, არავინ ფიქრობდა, რომ ეს გივისთვის ბოლო სეზონი იყო. სამწუხაროდ, ჩოხელი, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ადრე წავიდა დიდი ფეხბურთიდან და მიუხედავად იმისა, რომ მან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მაინც დარჩა უკმარისობის გრძნობა, რაკი ვერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 1962 წელს თბილისის „დინამო" ახლოს იყო ამ ტიტულის მოპოვებასთან, როცა ჩემპიონობაზე უკანასკნელ ტურში სამი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. თბილისელები ბოლო მატჩში საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ მოსკოვის ცსკა-სთან მათი მეკარის, იონას ბაუჯას სასწაულებრივი თამაშის გამო და საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ. არადა, ჩემპიონს, მოსკოვის „სპარტაკს", იმ სეზონში ორივე მატჩი, შინ და გარეთ (2:1 და 2:0), მოუგეს.

1964 წელს კი, როცა ამ შესანიშნავი თაობის, 1936-1937 წლებში დაბადებული ბიჭების (მესხი, მეტრეველი, ბარქაია, კოტრიკაძე, იამანიძე, დათუნაშვილი) ტრიუმფის დრო დადგა, მათი ტოლი ჩოხელი ავადმოყფობის გამო გუნდში აღარ იყო, არადა, იგი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

ქართულ ფეხბურთს არასდროს აკლდა ვარსკვლავები. გივი ჩოხელიც მათ რიცხვს განეკუთვნებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფეხბურთს მანამდეც ჰყავდა მაღალი კლასის დამცველები, სწორედ იგი იყო პირველი ამ ამპლუის მოთამაშეებიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. სწორედ მან დაამტკიცა, რომ მარტო ქართველ თავდამსხმელებს როდი ძალუძთ უმაღლეს დონეზე თამაში. შემდეგ, როცა საბჭოთა ნაკრების დაცვით ხაზს თამამად ანდობდნენ მურთაზ ხურცილავას და რეზო ძოძუაშვილს, გურამ ცხოვრებოვსა და ალექსანდრე ჩივაძეს, შოთა ხინჩაგაშვილსა და თენგიზ სულაქველიძეს, ეს გივი ჩოხელის დამსახურებაც იყო.

**ილია მხეიძე**

# კანდელაკმა დაამტკიცა, რომ დილეტანტი არ არის

27 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
**10 ტური**

**სტუ 57:63 სდასუ**

I ტაიმი 29:32
სტუ: ჩერქეზიშვილი (9), მოისწრაფიშვილი (7), ლოსაბერიძე (6), ცქიტიშვილი (17), ოთიურიძე (8); ტულუში (2), გაგნიძე (2), სუხიშვილი, მინაშვილი (3), ნაცვლიშვილი (3), ცხვედიანი
სდასუ: თორთლაძე (13), უძილაური (17), გიგაური (7), გიგაშვილი (5), მაჭარაძე (8); ხარაძე (4), ორჯონიკიძე (3), ქევხიშვილი (6), ჩიქოვანი
მსაჯები ზაზა მაჩალაძე, როლანდ ხომერიკი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

მეათე ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრად წინდაწინვე სტუ-სდასუ მივიჩნიეთ და არც შევმცდარვართ. არც ვერის ბაღში შეკრებილ გულშემატკივარს უნდა ჰქონდეს უკმაყოფილების მიზეზი (დამარცხებულთა ქომაგთ თუ არ ჩავთვლით). სტუდენტური დაპირისპირება საკმაოდ სანახაობრივი და თვალსასეირო გამოდგა.

რა იყო ამ მატჩში განსაკუთრებით გამოსარჩევი? პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ეს შეხვედრის საბოლოო ანგარიშია. ასეთი მცირეანგარიშიანობა მერვე ჩემპიონატში არც კი დაფიქსირებულა, თუმცა ეს ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს გუშინდელ მატჩს. ყოველივე საკმაოდ მარტივად აიხსნება: გუნდებმა დაცვა ითამაშეს!

დაცვა, კალათბურთის უმნიშვნელოვანესი და ძირითადი ატრიბუტი. დაცვა, მოწინააღმდეგის შეტევათა ჩაშლის, ალკვეთის იარაღი, დაცვა, წარმატების უპირველესი საწინდარი.

ამ მხრივ მართლაც გამოირჩა გუშინდელი შეხვედრა. გუნდებმა საკუთარი ფარის უსაფრთხოებაზე გაამახვილეს ყურადღება, რაც უდიდესი ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ. კიდევ გიკვირთ ანგარიშის სიმცირე? ...არადა, სტუ-ც და სდასუ-ც შემსრულებლებით არავის ჩამოუვარდებიან.

და კიდევ, რაც ძალიან კარგი იყო — მეტოქეთა შესაშური ტაქტიკური განსწავლულობა, კომბინაციური თამაში, შეტევათა განვითარების მრავალფეროვნება და... აზრების ჭიდილი, რასაც საბოლოოდ მწვრთნელებთან მივყავართ.

თამაზ ოქრუაშვილი — ნუგზარ კანდელაკი, ვინ ვის გადასწონის? გუშინ კანდელაკმა იძალა. სდასუ-ს მწვრთნელმა ჩინებულად წარმართა თამაში, რითაც დაამტკიცა, რომ არცთუ დიდი სტაჟის მიუხედავად, იგი სულაც არ გახლავთ დილეტანტი. უფრო მეტიც, კანდელაკი უკვე ჩამოყალიბებული მწვრთნელია და რაც მთავარია, დღითიდღე იზრდება.

აი, ყველაფერი ის, რის თქმაც გვინდოდა. ახლა კი თავად მატჩის მსვლელობაზე გეტყვით.

შეხვედრა სტუ-მ აქტიურად დაიწყო და ლოსაბერიძის და ოთიურიძის ზუსტი სროლებით დაწინაურდა 4:0. სდასუელთაგან მაჭარაძემ და გიგაშვილმა იყოჩაღეს და 4:4. ამის შემდეგ სტუ-მ ტემპს უმატა და სწრაფი შეტევების განვითარება სცადა, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც, მაგრამ კანდელაკმა შეგირდებს ბურთის ხანგრძლივი გათამაშება დაავალა, რითაც, ბუნებრივია, თამაშის ტემპიც დააგდო. მეცხრე წუთზე ჩერქეზიშვილმა 3-იანი ჩააგდო და თავისიანები წინ გაიყვანა, მაგრამ არც უძილაურის 3-იანმა დაახანა. თამაში ქულა-ქულაზე გაგრძელდა. სტუ დაცვაში ზონურად მოქმედებდა, თუმცა თორთლაძე სწრაფად ატრიალებდა ბურთს და პარტნიორებს ხელსაყრელ პოზიციაში ტოვებდა. ოქრუაშვილმა თორთლაძეს ტულუში აადევნა, რამაც ერთხანს შედეგიც გამოიღო, მაგრამ კანდელაკმა მოედანზე ორჯონიკიძე შეუშვა, გამთამაშებლობა დაავალა და თორთლაძე მის დამხმარედ გაამწესა. ახლა კი ისევ ჩვეულად ათამაშდა თორთლაძე. მას უფრო მეტი სამოქმედო სივრცე შეექმნა და... ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სდასუ ოთხი ქულით დაწინაურდა. თუმცა ბოლო წამზე უძილაურმა მეოთხე ჯარიმა მიიღო და ჩერქეზიშვილმა ერთი ქულა გაქვითა.

მეორე ნახევარში უძილაურის ადგილზე ჩიქოვანი გამოჩნდა. მისი პასით თორთლაძემ 3-იანი ჩააგდო, წუთში დათომ იგივე გაიმეორა, თუმცა შუალედში ეს მოისწრაფიშვილმაც გააკეთა. აქ უკვე ცქიტიშვილი გააქტიურდა, რომელიც პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა სტუ-ში. ნიკამ ფარქვეშ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, შორიდანაც ზუსტად ესროლა და ანგარიში თანაბარია 41:41.

და მოედანზე შოთა უძილაური შევიდა. მისი პირველივე შეხება ბურთთან ზუსტი 3-იანით დასრულდა. უძილაურს ოთიურიძემ უპასუხა, მაგრამ შოთა არ ცხრებოდა და მცირე მონაკვეთში კიდევ სამჯერ ჩააგდო შორიდან. და ეს იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა გუნდს, რითაც დაამტკიცა, რომ ნამდვილი პროფესიონალია. სწორედ უძილაურის ბრწყინვალე თამაშმა გატეხა მეტოქე. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტუ უკვე ათ ქულას აგებდა — 49:59.

ჩამორჩენილები წაგებას ვერ ეგუებოდნენ და ერთხელაც სცადეს მატჩის ბედის შეტრიალება, მაგრამ შორს აღარ წასულან. აი, სდასუ-მ კი სრულფასოვანი რევანში აიღო წინა წრეში განცდილი მარცხისთვის.

**გიორგი ბიძაშვილი**



გურამ წიბახაშვილის ფოტო

სტუ — სდასუ. მეტოქეთა ლიდერებიც შეიბნენ: სტუელი ჩერქეზიშვილი (9) და სდასუელი თორთლაძე

# მაკაბი სკამმა წააქცია

27 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
**10 ტური**

**მაკაბი 73:95 თსუ**

I ტაიმი 44:41
მაკაბი: დ. ბერიშვილი (14), ი. ბერიშვილი (19), ანდღულაძე (9), ტალაბაძე (10), ფერიაშვილი (13); ხუხაშვილი (2), მჭედლიშვილი (6), ლასარეიშვილი
თსუ: ვეფხვაძე (12), ნოწელია (25), დიმიტრიადი (14), მარკოიშვილი (19), ხელაშვილი (14); არსიაშვილი (9), მშვილდაძე (2)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

ამ შეხვედრაში თანაბარი ძალის გუნდები მონაწილეობდნენ და წინასწარ გამარჯვებულს ვერავინ დაასახელებდა, მაყურებელი საინტერესო თამაშს ელოდა და გუნდებმაც მათი იმედები გაამართლეს.

მატჩი პირველივე წუთიდან დაძაბულად წარიმართა. სადავო ბურთი მაკაბის ცენტრმა ალექსანდრე ფერიაშვილმა მოიგო და ბურთის ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ დავით ბერიშვილმა სამიანი ისროლა, თუმც თსუ დაჯარიმდა. დავითმა სამი ჯარიმიდან ორი ზუსტად შეასრულა და „მაკაბიც" დაწინაურდა. უნივერსიტეტელებმა საპასუხო შეტევა წამოიწყეს და მარკოიშვილის სროლის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ გუნდები ერთმანეთს არაფერს დაუთმობდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის დასაწყისში მაკაბელები უკეთესად ირჯებოდნენ, რაც ანგარიშზეც აისახა — მე-4 წუთზე მათ ორქულიან უპირატესობას მიაღწიეს. აღსანიშნავია ბერიშვილების კარგი თამაში როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში: ძმების ნასროლი სამქულიანები მეტ თავსატეხს უჩენდა სტუდენტებს. თსუ-მ ზონურ დაცვას მიმართა. ამით კვლავ „მაკაბიმ" ისარგებლა და მე-7 წუთზე ირაკლი ბერიშვილის სამიანით ანგარიში 22:15 გახდა. მერე კი უნივერსიტეტი გააქტიურდა — ნოწელიას და მარკოიშვილის ძალისხმევით თსუ მეტოქეს დაეწია, შემდეგ კი დიმიტრიადიმ ამ შეხვედრაში პირველად თავისი გუნდი წინ გაიყვანა. თუმცა, დროებით, ანდღულაძემ კვლავ გაათანაბრა ანგარიში.

შეხვედრა მეტად დაძაბულად, უშეღავათოდ მიმდინარეობდა და ბუნებრივია, ჯარიმებიც გახშირდა. მე-11 წუთისთვის თსუელ ხელაშვილსა და მარკოშვილს, ასევე მაკაბელ ფერიაშვილსა და დავით ბერიშვილს სამ-სამი ჯარიმა ჰქონიათ. ყოველივე ეს სტუდენტებს ხელს აძლევდათ, რადგან მაკაბელებს, ფაქტობრივად, ხუთი კაცით მოუხდათ თამაში. სწორედ ამან განაპირობა საბოლოოდ მათი დამარცხება.

პირველი ტაიმი კი „მაკაბიმ" მართლაც კარგად ჩაატარა. თსუ-მ ვერ შეძლო ტყუპი ბერიშვილების შეჩერება და მეტოქე 7 ქულით გაუშვა წინ. თსუ-ს აშკარად ეტყობოდა ტანმაღალი ცქიტიშვილის გუნდიდან წასვლა, არ ჩანდა მგალობლიშვილიც. სტუდენტთაგან პირველ ნახევარში საუკეთესო მარკოიშვილი იყო, თუმცა ტაიმის მიწურულს მან მეოთხე ჯარიმაც მიიღო და მწვრთნელებმა სასწრაფოდ შეცვალეს არსიაშვილით. „მაკაბი" მთელი ტაიმის მანძილზე ლიდერობდა. ტაიმის მიწურულს კი ხელაშვილი გააქტიურდა, ბურთიც მოათავსა კალათში და „მაკაბიც" დაჯარიმდა. არჩილმა საჯარიმო ვერ გამოიყენა და ბურთს მაკაბელები დაეუფლნენ. ტაიმის დამთავრებამდე წამები რჩებოდა, ვერც მათ იხეირეს და შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ნახევრის პირველი ათი წუთი მართლაც კარგი სანახავი გამოდგა. თსუ-მ ანგარიში გაათანაბრა და დაწინაურდა კიდეც. ახლა უკვე მდევრის როლში „მაკაბი" აღმოჩნდა. აქტიურობდა ნოწელია, თუმცა ირაკლი ბერიშვილმაც აღარ დააყოვნა და ანგარიში კვლავ გათანაბრდა. დავით ბერიშვილმა კი მე-4 ჯარიმა მიიღო და ბუნებრივია, დაცვაში თამაშის დროს ფრთხილობდა. 24-ე წუთზე ფერიაშვილის კარგი თამაშის წყალობით წინ კვლავ „მაკაბია" 50:48. მერე მეტოქეებმა რამდენიმე 2-ქულიანი შეტევა გაცვალეს. თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა და დავით ბერიშვილმა მე-5 ჯარიმა მიიღო. ამის შემდეგ „მაკაბის" საქმე უკან-უკან წავიდა. უნივერსიტეტი დიმიტრიადიმ დააწინაურა. მეოთხედ დაჯარიმდა ფერიაშვილიც. თსუელ ხელაშვილს ამით ფარქვეშ თამაში გაუადვილდა. კარგად ირჯებოდა ახალგაზრდა მარკოიშვილი. ანგარიში კი იზრდებოდა და იზრდებოდა სტუდენტთა სასარგებლოდ. მეორე ნახევრის მე-11 წუთზე თსუ-მ 10-ქულიან უპირატესობას მიაღწია. „მაკაბის" კი სათადარიგოებში ღირსეული აღარავინ ეგულებოდა, გუნდს დაღლაც დაეტყო. შეხვედრის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გამთბარ დარბაზში ტაბლო გაითიშა. ანგარიშსა და დარჩენილ დროს მსაჯთა მაგიდიდან გადმოსცემდნენ, რაც არავის გაკვირვებია. მეორე ტაიმის ბოლოს ფერიაშვილი მეტად საეჭვოდ მეხუთედ დააჯარიმეს და „მაკაბიც" საბოლოოდ გატყდა. ბოლო ხუთი წუთი მთლიანად სტუდენტთა სასარგებლოდ წარიმართა.

**ზურაბ გონაშვილი**



გურამ წიბახაშვილის ფოტო

მაკაბი — თსუ. მაკაბელმა ფერიაშვილმა (ბურთით) გუნდს ვერ უშველა

# აივერსონი 76-იანელებში დარჩა

26 იანვრის გაზეთი „Philadelphia Daily News" გვამცნობს, რომ ამერიკული კალათბურთის ამომავალი სუპერვარსკვლავი ალენ აივერსონი კვლავ დარჩება ფილადელფიაში. „ფილადელფია 76"-ს ძველი დიდების დაბრუნება განუზრახავს და უძლეველი გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს, რომლის მთავარ ფიგურადაც 183-სანტიმეტრიანი უპოპულარულესი და უნიჭიერესი უკანახაზელი ალენ აივერსონი ეგულება. კლუბმა ამ ვაჟკაცს ზღაპრული კონტრაქტი დაუდო, რომლის თანახმად იგი ექვსი წლის განმავლობაში 71 მილიონს მიიღებს. ჯერ კიდევ ლოკაუტამდე ეს თანხა აგრერიგად აღსანიშნავი არ იქნებოდა, რომ არა ლოკაუტი, რომლის დაწყებამდეც აივერსონი ჯამურ 100 მილიონს უმიზნებდა, მაგრამ ლოკაუტის შემდეგ დაწესებულმა კონტრაქტების ჭერმა კოზი ნაცარში ჩაუგდო. ამასთან 71 მილიონი უდიდესი კონტრაქტია, რაც კი „ფილადელფიას" ოდესმე ვინმესთან გაუფორმებია. ასეთი პატივი კლუბის ძველ სუპერვარსკვლავებს — ჯულიუს ირვინგს, ჩარლზ ბარკლის და სხვებსაც არ ღირსებიათ. ძველ დ[illegible]ში აივერსონზე გაცილებით სახელოვან სპორტსმენებს ასეთ თანხაზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ, ახლა კი აივერსონს, ვინ იცის, იქნებ ეცოტავა კიდეც, თუმცა ჯერჯერობით არ წუწუნებს და ამბობს, ამ ფულს ოჯახს მოვახმარო.

ამ 71 მილიონიდან აივერსონი პირველ სეზონში 9 მილიონს, ხოლო მეექვსეში 14,5 მილიონს მიიღებს. ამასთან მას ძველი კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასვლია და ამ სამწლიანი ხელშეკრულების დარჩენილ ბოლო წელს 2,2 მილიონს ჩაიჯიბავს. მიუხედავად ამისა, სავსებით შესაძლებელი იყო, მას მეტი და მეტი მოეთხოვა — თავნება და შარისთავი აივერსონისგან ეს არავის გაუკვირდებოდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას რაღაც დიდი დანაშაულისთვის მას ხუთი წლით ციხეში ყურყუტი ემუქრებოდა, მაგრამ თავისმა ვარსკვლავობამ იხსნა. მას ნბა-ში ყოფნის დროსაც მრავალჯერ ჰქონია საქმე პოლიციასთან მარიხუანის წევისა და სხვა ამგვარ ულირსი საქმეების გამო.

ამჟამად 1997 წლის საუკეთესო ახალბედა აივერსონი ჩემპიონობისა და მაიკლ ჯორდანისდარ ვარსკვლავობაზე ოცნებობს და გადაუწყვეტია, ჯორდანზე მეტჯერ გახდეს ნბა-ს ჩემპიონი საკმაოდ დიდი ტრადიციების მქონე „ფილადელფიასთან" ერთად, რომელიც ისე დაჩაჩანაკებულა 1992 წლის აქეთ პლეი ოფი თვალითაც არ უნახავს და ახლა ალენ აივერსონის წყალობით ცდილობს ნავსის გატეხვას. კლუბის ხელმძღვანელმა ამისთვის ღონეს და ფულს არ იშურებს — აივერსონის გარდა ამ კვირას კიდევ ოთხმა მოთამაშემ დადო კლუბთან კონტრაქტი, რომელთა ჯამმა 180 მილიონს უწია.

სანამ „ფილადელფია" ძალებს იკრებს, ნბა-ს სხვა გუნდები ერთმანეთს საჩვენებელ შეხვედრებში ეჯიბრებიან. 26 იანვარს ორი მატჩი გაიმართა: პირველში „ბოსტონმა" 106:88 დაჯაბნა „ტორონტო რეპტორზი", სკოტი პიპენის ახალმა გუნდმა „ჰიუსტონ როკიტსმა" კი თანაშტატელ მოსისხლეს „სან ანტონიო სფურზს" 106:104 სძლია.

**ირაკლი ფირაშვილი**

# გრაფი — სელეში სიძულვილის ისტორია?

**ქალები. მეოთხედფინალი: მონიკა სელეში (6, აშშ) — შტეფი გრაფი (10, გერმანია) 7:5, 6:1**

90-იანების დასაწყისში, როდესაც 16 წლის მონიკა სელეში გრიგალივით შეიჭრა ქალთა ჩოგბურთის სამყაროში და გრაფს მის ბატონ-პატრონობას შეეცილა, ყველაფერი კრის ევერტ — მარტინა ნავრატილოვას დარ ლეგენდარულ მეტოქეობას გვიქადდა, მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება.

1993 წლის აპრილში გრაფის შეშლილმა გულშემატკივარმა ჯერ კიდევ იუგოსლაველ მონიკას ზურგში დანა ჩაარტყა და ორი წლითაც ჩამოაშორა დიდ სპორტს, მერე გერმანელი ტრავმებმა შეაწუხეს და ამ ექვსი წლის მანძილზე მეტოქეები ერთმანეთს სულ სამჯერ შეხვდნენ.



ევგენი კაფელნიკოვი

REUTERS მელბურნიდან

ნავრატილოვა — ევერტისაგან განსხვავებით, მონიკა და შტეფი მეგობრებადაც არასოდეს ქცეულან. გრაფმა ინციდენტის მეორე დღეს საავადმყოფოში ერთ-ერთმა პირველმა მოინახულა დაჭრილი და თვალცრემლიანიც გადაეხვია, მაგრამ სელეშის თქმით, მაშინ შეპირებული სატელეფონო ზარი არ შემდგარა.

„მან იცოდა, რომ მე ფირმა IMG-სთან მქონდა კონტრაქტი, მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ ჩემი მენეჯერისთვის დაერეკა და ჩვენც ერთმანეთს დაგვაკავშირებდნენ" — აღნიშნა ავტობიოგრაფიაში ახლა უკვე ამერიკელმა.

უკიდურესად დაძაბული ატმოსფერო შეხვედრაში თავიდანვე იგრძნობოდა: არსად ჩანდა თუგინდ ნაძალადევი ღიმილი, ნერვიულობის გამო ორივე ხშირად ცდებოდა. თუმცა ხუთიოდ წუთი და კორტზე დიდი ჩოგბურთი გამეფდა — გრაფის უძლიერესი ფორჰენდები და სისწრაფე, მონიკას ხაზზე დასმული ბურთები და ხმამაღალი ჭყვიტინი.

სამწუხაროდ, წარსულში მოგზაურობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ნერვებმა დიდ გერმანელს უმტყუნა. გრაფი 5:4-ს იგებდა, როდესაც საკუთარი მოწოდება ორმაგი შეცდომით და ბადეში გახვეული ბექჰენდით დაიწყო, მეტოქეს ანგარიში უბრძოლველად გაათანაბრებინა და გონს მატჩის ბოლომდე აღარ მოსულა.

სელეშმა ჯერ პირველი სეტის დარჩენილი გეიმები მოიგო დიდი ძალისხმევის გარეშე, მერე მეორე სეტში 5:0 დაწინაურდა და ერთადერთი გეიმი მეტოქეს მაშინღა დაანება.

მატჩის სულ, სულ ბოლოში გრაფი ოდნავ გაჯიქდა, ოთხი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და მონიკას ლამის მოწოდებაც აართვა, მაგრამ უშეცდომოდ მოთამაშე ამერიკელთან არც ამ გაბრძოლებამ გაჭრა — მალე მეტოქეებმა ერთმანეთს ცივად ჩამოართვეს ხელი ბადესთან და სასწრაფოდ, ერთი ავტოგრაფის ხელმოუწერლად დატოვეს კორტი — ვერშემდგარ მეტოქეობაში ანგარიში 9:5 გახდა გრაფის სასარგებლოდ.

„არ ვიცი, რა მომივიდა, ბურთის კორტზე ჩაგდებასაც კი ველარ ვახერხებდი. ცოტათი მართლაც დავიძაბე, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვერაფერი გამოვასწორე, თითქოს კონცენტრაციის უნარიც სრულებით დავკარგე. ბურთებს იქეთ-აქეთ ვისროდი და წარმოდგენაც არ მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა" — განუცხადა განაწყენებულმა შტეფიმ ჟურნალისტებს.

აი, სელეშის პრესკონფერენცია კი ცოტათი ნიშნის მოგებას ჰგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა მეტოქის მებრძოლ ხასიათს თავისი ხარკი მიაგო, მისი ზოგიერთი პასუხი ისეთი ნამდვილად არ გახლდათ, როგორსაც ბევრი ელოდა.

„შტეფი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი არ არის. ასეთები ახლა დევერპორტი და ჰინგისი არიან, რომლებიც სულ სხვა დონეზე თამაშობენ... ყოველთვის განსაკუთრებით ვგრძნობ თავს, როდესაც ძლიერ ჩოგბურთელს ვხვდები. შტეფის მათ შორის განსხვავებული ადგილი არ უკავია" — აღნიშნა მონიკამ, მერე კი, როდესაც კარიერის მთავარი მეტოქის დასახელება სთხოვეს, არანაკლებ გააკვირვა ყველა.

გრაფის ნაცვლად, რომელსაც იგი დიდი სლემის ტურნირების ექვს ფინალში შეხვდა, ასეთად მონიკამ რატომღაც მარტინა ნავრატილოვა მიიჩნია, რომელსაც ფინალში ერთადერთხელ შეებრძოლა: „მარტინას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, როგორც სპორტსმენს, ასევე როგორც ადამიანს"

— და ძველებურად მაინც თამაშობს შტეფი?

— ჩემთვის არა. მე იქ ჩვეულებრივი მატჩი მქონდა — იყო პასუხი.

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — მარი პირსი (6, საფრანგეთი)**

ზედიზედ მესამედ გადის „ოუფენის" 1995 წლის ჩემპიონი პირსი მელბურნული ტურნირის მეოთხეფინალში და მესამედვე შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი ეღობება გადაულახავ დაბრკოლებად.

წინა ფინალისა და მეოთხედფინალისგან განსხვავებით, ეს მატჩი საათზე მეტს გაგრძელდა, მაგრამ ყვითელ კაბაში გამოწყობილ მარის ამან სულ რამდენიმე ზედმეტი გეიმი მოუტანა.

ჰინგისი მთელი მატჩის განმავლობაში შესანიშნავად ირჯებოდა — კიდეებში მიმართული დარტყმებით მოუქნელ ფრანგს გასავათებამდე არბენინებდა, ბოლოს კი უკან უილაჯოდ გადმოგდებულს ბადესთან გასვლით უსვამდე წერტილს.

ფრანგმა 2:5-ზე სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და ანგარიში 4:5-მდე შეამცირა, მაგრამ შეცდომების მორიგმა სერიამ ნახევარფინალისკენ გზა შვეიცარიელს გადაულოცა.

„მარტინამ დღეს გამაკვირვა შესანიშნავი თამაშით, რამდენჯერმე საოცარი ბურთიც ჩამიგდო. იგი აშკარად იმსახურებდა გამარჯვებას. ისე, მოწოდებაში დაჭიმული მუცლის კუნთიც მოშლიდა ხელს" — აღნიშნა ფრანგმა.

**კაცები. მეთხედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (10, რუსეთი) — ტოდ მარტინი (15, აშშ) 6:2, 7:6 (7:1), 6:2**

ტურნირის დასაწყისში პატარა კორტებზე თამაშისას უზომოდ დამწვარი რუსის ცხვირი თანდათან ბუნებრივ (ზოგიერთი თანამემამულისთვის იქნებ არაბუნებრივ) ფერს იბრუნებს, ბოლო ხანებში ცენტრალურ სტადიონზე გადაბარგებული სოჭელი კი ამასობაში სულ წინ და წინ მიიწევს.

„ამაზე კარგი შანსი სლემის ტურნირის მოსაგებად შეუძლებელია, მქონდეს. იქნებ ისიც დამეხმაროს, რომ დარჩენილთაგან მეიჯორზე მარტო მე მიმარჯვია, რაც დიდი გამოცდილებაა" — განაცხადა კაფელნიკოვმა, რომელმაც მარტინი ზედიზედ მეხუთე პირად შეხვედრაში დაჯაბნა.

**ტომი ჰაასი (გერმანია) — ვინს სპედეა (აშშ) 7:6 (7:5), 7:5, 6:3.**

20 წლის ჰაასი აქამდე სლემის ტურნირებზე მესამე წრესაც არსად გასცილებოდა.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS მელბურნიდან

მარი პირსი და მარტინა ჰინგისი

## ინტერვიუ მატჩის შემდეგ

**80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დიდი ჩოგბურთელების — შტეფი გრაფის, ბორის ბეკერის, მოგვიანებით კი მიხაელ შტიხის მიღწევებით განებივრებულმა გერმანიამ ახალწამოჩიტული, ნაკლებად წარმატებული თაობის წარმომადგენლები — ანკე ჰუბერი, ნიკოლას კიფერი, ტომი ჰაასი იოლად ვერ მიიღო, მათგან ყველა დიდი სლემის ტურნირების მოგებას, საუკეთესოთა ათეულში სწრაფად შესვლას მოითხოვდა. თუმცა 20 წლის ამერიკაში გაზრდილი ჰაასის მელბურნულმა გმირობებმა შეიძლება ყველაფერი შეცვალოს — იგი ვინს სპედეას დამარცხების შემდეგ უკვე ნახევარფინალისტი გახლავთ.**



REUTERS მელბურნიდან

ტომი ჰაასი

# ლუდი არ დამანახოთ!

**— დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან. მგონი, არაჩვეულებრივად კარგად ვითამაშე. ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი სეტის მოგება იყო — ჯერ მან ამართვა მოწოდება, მერე მე გავუთანაბრე, ტაი-ბრეიკზე კი ოდნავ გამიმართლა. თანაც ბრეიკ-პოინტებზე, მნიშვნელოვან ქულებზე მე უკეთ ვირჯებოდი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

**— როგორ ფიქრობთ, დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში ჩოგბურთელი კაცის გასვლა გერმანული ჩოგბურთისთვის დიდი სტიმული იქნება?**

— შეიძლება. მით უმეტეს, რომ ტურნირი ჯერ არ დასრულებულა, მე კი მიღწეულით დაკმაყოფილება სულაც არ მსურს. ცოტათი საწყენია, რომ დღეს შტეფიმ წააგო, თუმცა ერთი გერმანელი ხომ მაინც შერჩა მელბურნს.

**— ასე კარგ ასპარეზობას რას მიაწერთ?**

— როგორც წესი, სლემის წინ ერთ ტურნირზე ვთამაშობ. ამჯერად ეს ოკლენდი იყო, იქ ფინალში გავედი და მელბურნში შესანიშნავ ხასიათზე ჩამოვედი. მეორე წრეში ლეიტონ ჰიუიტის დამარცხებამ თავდაჯერება ერთობ შემმატა, თანაც კენჭისყრით მაინცდამაინც რთული მეტოქეებიც არ შემხვედრია.

**— ძალიან გაგიჭირდათ, როდესაც გერმანია 13 წლისამ დატოვეთ და საცხოვრებლად ამერიკაში, თანაც სულ მარტო გადახვედით?**

— დასაწყისში მართლაც ასე იყო. მაგრამ ჩემი მშობლები სულელები არ არიან, რომ იქ დიდი ხნით მარტო დავეტოვებინე, ერთმანეთს ხშირად ვეხმაურებოდით. ყველაზე დიდი ხანი, რაც მარტო ყოფნა მომიხდა, ოთხი, ხუთი კვირა იყო. მერე ან მე მივდიოდი გერმანიაში, ან ჩემები ჩამოდიოდნენ შტატებში.

**— როგორც ვიცი, თქვენს იქ ყოფნას სხვადასხვა ბიზნესმენები აფინანსებდნენ.**

— ჰო, ცოტა ძნელად ასახსნელი ხელშეკრულება იყო. მე და ჩემს დას 15 სპონსორი გვეხმარებოდა. ეს ხუთ წელს გრძელდებოდა და უკვე წარსულს ჩაბარდა.

**— თქვენმა მწვრთნელმა როდმა გაგვიმხილა, ამას წინათ კაზინოში დიდი თანხა მოიგოო.**

— კი, თუ 20 დოლარს დიდ თანხად მიიჩნევ.

**— მავანმა აქ თქვენს გამარჯვებაზე 1500 დოლარი დადო და თუ გაუმართლებს, 60 ათასს მოიგებს. თქვენი აზრით, ეს კარგი გადაწყვეტილება იყო მისი მხრიდან?**

— დიდ რისკზე წასულა, თუმცა მოხარული ვარ, რომ ჩემი ასე სჯერა. არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ აუცილებლად შევეცდები, გავაბედნიერო.

**— ტომი, იმის გამო, რომ ბორის ბეკერი ესოდენ წარმატებული ჩოგბურთელი იყო და ყველა მის ღირსეულ მემკვიდრეს ეძებს, მშობლიურ ქვეყანაში დამატებით ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?**

— პირადად მე არანაირს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ნიკოლას კიფერს, რომელიც თავადაც თავს არ ზოგავს, რათა იმავეს მიაღწიოს. ჩვენ სხვადასხვა ხასიათი, სხვადასხვა გზა გვაქვს, თუმცა არა მგონია, ისიც განიცდიდეს რაიმე ზეწოლას.

**— თავად ბორის ბეკერთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— შესანიშნავი. ჩვენ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, ძირითადად დევისის თასის მატჩების დროს, ან როდესაც ერთი და იმავე ტურნირზე ვასპარეზობთ, თუმცა რამდენჯერმე წყვილებში ერთადაც კი ვითამაშეთ.

**— თქვენ გინდოდათ, რომ იგი თქვენი მწვრთნელი ყოფილიყო...**

— ამას რა აჯობებდა, მაგრამ, მგონი, ეს შეუძლებელი რამაა. ბორისისთანა დიდ ჩემპიონს ძალიან გაუჭირდებოდა ბევრი მოგზაურობა, ორომტრიალი, რაც მწვრთნელობას ახლავს თან. მე ისიც მეყოფა, რომ როცა ვხვდებით, ბევრ საჭირო რჩევას მაძლევს.

**— ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი ტურზე?**

— იცით, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. არავინ არის ისეთი, მეზიზღებოდეს ან მაღიზიანებდეს. კარგად ვუგებ მარკ ფილიპუსისს, ტომას ენკვისტს, პეტერ კორდას — ისინი ხშირად ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ ბოლეტიერის აკადემიაში, ბევრ სხვასაც. თუმცა სასადილოდ ან ლუდის დასალევად, რომელიც არ მიყვარს, ხშირად არ დავდივარ. ეს მაინც ერთეულების სპორტია და ჩემთვის ყოფნა მირჩევნია.

**— ლუდი არ გიყვართ?**

— არა, ჯერ არა.

**— ეს გერმანელისთვის საშინელება უნდა იყოს.**

— მართალია, მაგრამ რა ვქნა, ყელში არაფრით გადამდის.

**— თქვენ თქვით, რომ აკადემიაში დასთან ერთად წახვედით.**

— კი, მართლაც ასე იყო.

**— ის ისევ თამაშობს?**

— არა, თავი დაანება. არჩია, ყველაფერი ჩემთვის გადმოელოცა.

თარგმნა
**ავთანდილ სვანიძემ**

# დავით ხახალეიშვილი: ჩემთვის ბრინჯაო არაფერია



**ამ დღეებში მოსკოვში გამართულ ძიუდოისტთა „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში ქართველთა გამოსვლის შესახებ უკვე გამცნეთ. ჩვენებურთა ნადავლი ურიგო ნამდვილად არ იყო - ორი ოქრო და ამდენივე ბრინჯაო. ეს ყველაფერი კარგი და, ჩვენთვის ყველაზე ნიშანდობლივი მაინც მოსკოვის ტატამზე ბარსელონის ოლიმპიური ჩემპიონის, ქუთაისელი მძიმეწონოსნის დავით ხახალეიშვილის გამოჩენა გახლდათ.**

როგორც იცით, ატლანტაში ცნობილი ტრაგიკომიკური შემთხვევის შემდეგ დათო, ფაქტობრივად, ჩამოსცილდა ძიუდოს. მხოლოდ ერთხელ, ბელგიაში, ევროპის პირველობაზე იასპარეზა ქვეყნის სახელით და მორჩა. არადა, ატლანტის შემდეგ ხახალეიშვილმა ორჯერ მაინც გამოჰკრა ხელი მსოფლიოს ჩემპიონობას. თუმც ეს სამბოში. შარშან ზაფხულს ქუთაისელმა უზბეკთა ეროვნულ ჭიდაობა კურაშში გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც ივარგა და, იცოცხლეთ, ტაშკენტიდან საუცხოო საჩუქრით — „გაზ - 3110“-ით დაბრუნდა.

ბევრს აღარ გავაგრძელებთ, თავშივე ვთქვით, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ხახალეიშვილმა რუსეთის დედაქალაქში ძიუდო იჭიდავა და სწორედ ამ ფაქტზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

**— დათო, რამდენადაც ვიცი, მოსკოვის ტურნირზე ჭიდაობას არ აპირებდი, უვარჯიშებელიც იყავი და წელიც გტკიოდა...**

— სწორედ რომ ასეა. დასამალი არაფერი მაქვს. დიდი ხანია, არ მივარჯიშია. წონაში ისე მოვიმატე, საკუთარი თავის მრცხვენია, თანაც ხერხემალს ვიტკიებ. ექიმები ჭიდაობას არ მირჩევენ. მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე ტატამზე გასვლა.

**— კი, მაგრამ, ასე მოუმზადებელმა? რისი იმედი გქონდა, მოსკოვში ხომ ბევრი ცნობილი მძიმეწონოსანი იყო ჩასული?**

— შორიდან აღარ მოვყვები, წარსული ისტორიას ჩაბარდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მტკიცედ, საბოლოოდ გადავწყვიტე — ძიუდოს უნდა დავუბრუნდე, გაისად სიდნეის ოლიმპიადაზე ჩემი უნდა დავამტკიცო. თუმცა, სიტყვით ეს იოლია, საქმით კი... საქმეს მომავალი გვიჩვენებს. მოსკოვში თავი გამოვცადე და ეს იყო. ოთხჯერ მომიწია ტატამზე გასვლამ. ჯერ რუსს ვაჯობე, მერე ყაზახს. ორივეს საყვარელი გდებით მოვუგე. ფინალში გასასვლელად თანაგუნდელ ალექსი დავითაშვილს შევხვდი. თანაბრად ვიჭიდავეთ. მსაჯებმა უპირატესობა დავითაშვილს მიანიჭეს. ფინალში ალექსიმ მსოფლიოს ჩემპიონ სერგეი კოსოროტოვს სძლია და ღმერთმა გაუმარჯოს! ბიჭი 24 საათი ლეიბზე დგას და ალალია. მესამე ადგილისთვის წმინდად მოვუგე ახალგაზრდა ფრანგ ძიუდოისტს. ჩემთვის ბრინჯაოს მედალი დიდი არაფერია, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. გავიმეორებ, აბსოლუტურად მოუმზადებელი ვიყავი.

**— ნაკრების მწვრთნელმა როგორ შეაფასა შენი გამოსვლა?**

— მგონი, შოთა ხაბარელიც კმაყოფილი დარჩა.

**— ახლა რას აპირებ?**

— ვარჯიშს და ჭიდაობას. მორჩა, საქმეს სერიოზულად უნდა მივხედო. ჯერ მთავარია, წონა დავიკლო, ფორმაში ჩავდგე. თებერვალში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მომიწევს გამოსვლა — ავსტრიაში, იტალიაში, გერმანიაში. მაისში სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატია, ოქტომბერში ინგლისში — მსოფლიოსი. ვეცდები, ორივეგან ვიასპარეზო. მაისის დამდეგს უზბეკეთში ვარ მიწვეული კურაშში მსოფლიოს ჩემპიონატზე. ალბათ, არც ამ შეჯიბრებას დავაკლდები.

**— სად ივარჯიშებ?**

— ძირითადად ქუთაისში. მართალია, ადრე აქ ყოველთვის გვქონდა სირთულეები წვრთნასთან დაკავშირებით, მაგრამ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. „შევარდენის“ ძიუდოს სკოლის მწვრთნელ ომარ მერაბიშვილის თავკაცობით, აღსაზრდელთა მშობლების, ვეტერანი ძიუდოისტების ძალისხმევით გაფართოვდა და კეთილმოეწყო სავარჯიშო დარბაზი. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის სააქციო საზოგადოება „ჰიდრომშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის გოჩა იმანიძის და მისი კოლექტივისადმი. ეს ხალხი მზად არის, დარბაზი საკუთრებაში გადასცეს ძიუდოისტებს და ახლა ყველაფერი ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, სავარჯიშო დარბაზს აწ გარდაცვლილი დიდი ქველმოქმედი კაცის თეიმურაზ იმანიძის სახელი ეწოდა. შეიძლება ითქვას, სწორედ მან გადაარჩინა თავის დროზე ქუთაისური ძიუდოს სკოლა.

**იუზა ქაციტაძე**



# სალუქვაძე ტყვიებს ეძებს

სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია ახალ სპორტულ სეზონს ძველი პრობლემებით შეხვდა. ისევ მოუგვარებელია ფინანსური უზრუნველყოფის, ინვენტარის, გავერანებული ბაზების პრობლემები. რა მოსდევს ყოველივე ამას, ცხადია — სპორტსმენთა მზადების პროცესი უსაშველოდ ბრკოლდება.

შარშან ფედერაცას ბიუჯეტმა წილი 80 ათასი ლარი იყო. ავად თუ კარგად, მათ ეს ფული მიიღეს. მოგეხსენებათ, ფედერაცია სპორტის სამ სახეობას — ტყვიის სროლას, სასტენდო სროლასა და მშვილდოსნობას აერთიანებს. ეს თანხაც სწორედ სამ ნაწილად გაიყო და, ჯერ მთლიანი რაა, სამად გაყოფილი რამე იყოს.

წლევანდელ სეზონშიც ფედერაცია ძირითადად საბიუჯეტო თანხების იმედზეა, ბიუჯეტიდან კი ჯერ არაფერი მიუღია. არადა, სეზონი უკვე დაიწყო. ეს გასაგებიცაა — ბიუჯეტდაუმტკიცებელ ქვეყანაში სპორტს ვინ რას მისცემს, თან ისიც საკითხავია — როცა მისცემენ, მაშინაც რამდენს?

სროლა-მშვილდოსნობის ფედერაციას შარშანდელივით წლეულსაც 80 ათასი ლარით დაფინანსებას პირდებიან. ლარის ინფლაციიდან გამომდინარე ცხადია, რაოდენ შეიკვეცება სპორტსმენთა მზადების პროგრამა. ეს თანხები ხომ ძირითადად ტურნირებზე გასამგზავრებლადაა გათვალისწინებული, საზღვარგარეთ კი დოლარია საჭირო. ამ ფულით პრაქტიკულად შეუძლებელია სპორტული ინვენტარისა და ბაზების განახლება, თანაც, ზემოთაც ვთქვით, მიღებული თანხა სამად უნდა გაიყოს. საკითხავია, ასეთ პი-



ნინო სალუქვაძე

რობებში როგორ უნდა იასპარეზოს წარმატებით სიდნეის ოლიმპიადაზე ნინო სალუქვაძემ, ან როგორ უნდა მოიპოვოს საოლიმპიადო ლიცენზია თამაზ იმნაიშვილმა, რომლის კანდიდატურასაც ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელობაზე უარი იმ მოტივით ეთქვა, რომ მან სიდნეიში მოქმედი მსროლელის რანგში უნდა იასპარეზოს.

ფედერაციამ აქცენტი ძირითადად ნინო სალუქვაძეზე გადაიტანა და ალბათ სამართლიანადაც — თუ ვინმესგან ველით წარმატებას ოლიმპიადაზე, მათ შორის სალუქვაძე უპირველესია. საგანგებოდ მისთვის შემუშავდა მზადების საგანგებო პროგრამა, რომელიც მოიცავს პერიოდს მიმდინარე სეზონიდან სიდნეის ოლიმპიადამდე.

ცალკე დაისახა წლევანდელი სეზონისთვის მოსამზადებელი გეგმა. მასში გათვალისწინებულია ყველა ის ტურნირი და ჩემპიონატი, რომლებში გამოსვლაც ნინომ და მისმა მამა-მწვრთნელმა — ვახტანგმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს. ეს პროგრამა მამა-შვილმა დამოუკიდებლად შეადგინა, ფედერაცია ამ საქმეში არ ჩარეულა. პირიქით, ყველანაირი დახმარებაც აღუთქვა მათ, პირველ რიგში, ცხადია, ფინანსური. ოღონდ ეგაა, მხოლოდ წლევანდელი სეზონისთვის 33 ათას დოლარამდეა საჭირო, ეს კი ლამის საბიუჯეტო თანხის ფარდია. თანაც, მასში ტყვიების შეძენა გათვალისწინებული არაა.

ეს პრობლემა ნინოს აქამდე არც აწუხებდა, რადგან კონტრაქტით რეკლამის სანაცვლოდ უფასოდ იღებდა მათ ერთ-ერთი იტალიური ფირმისგან. კონტრაქტი არც წლეულს დარღვეულა. უბრალოდ, ის ფირმა სხვანაირ მსხვილკალიბრიან ტყვიებს უშვებს. ასე დარჩა სალუქვაძე უტყვიებოდ. ახლა მან თავად უნდა იზრუნოს მათ შოვნაზე (რა თქმა უნდა, ფედერაციის ფულით). არადა, სეზონზე რამდენი ტყვია სჭირდება სავარჯიშოდ?

ამჯერად ნინო სალუქვაძე თანაგუნდელ ნინო უჩაძესთან ერთად გერმანიაში იმყოფება, სადაც უმაღლესი კატეგორიის ტურნირში მონაწილეობს. მათი გამგზავრება ამჯერადაც რეგიონალური პრინციპით მოხდა — სალუქვაძე თბილისის სპორტის სამმართველომ დააფინანსა, უჩაძე — ქუთაისმა. სალუქვაძემ ამ ტურნირით დაიწყო მზადება სეზონის უმნიშვნელოვანესი სტარტებისა და ოლიმპიადისთვის, მაგრამ საკითხავია, ვინ შეაიარაღებს სიდნეის გზაზე დამდგარ სალუქვაძეს?

**ირაკლი თავაძე**





ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი

# კორუფცია აქამდეც არსებობდა
## ჩვენი მოქრთამვა არავის სჭირდება

*საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალი რამდენიმე ხანია უდიდეს ყურადღებას იპყრობს მთელს მსოფლიოში. გუშინდელ „სარბიელში“ ამის შესახებ შედარებით დაწვრილებით გიამბეთ, დღეს კი გთავაზობთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბატონ ჯანო ბაგრატიონის და გენერალური მდივნის ბატონ ემზარ ზენაიშვილის კომენტარებს სოკში მიმდინარე მოვლენებზე*



**— რა აზრის ბრძანდებით ამ სკანდალში გახვეულ სოკის წევრებზე და თვით კორუფციის ფაქტზე?**

— ჯ. ბ. რა თქმა უნდა, მეტად უარყოფითი დამოკიდებულების ვარ და სხვანაირად არც შეიძლება. თუმცა, აქამდეც ფაქტობრივად ყველამ ვიცოდით, რომ შესაძლებელი იყო ამდაგვარი რამ მომხდარიყო. მასპინძელი ქალაქების არჩევნებისას თითქმის ყოველთვის ვიღაცა ვიღაცას მოქრთამვას ცდილობს და ეს არამარტო სოკში ხდება. იგივე სიტუაციაა ცალკეულ ფედერაციებშიც. ეს უმართავი პროცესია. ახლანდელი აჟიოტაჟი კი იმან გამოიწვია, რომ აქამდე დამალული ფაქტები გამჟღავნდა. თვით პრეზიდენტი კი არა მგონია, მსგავს საქმეში გასვრილიყო. ის მშვენიერი თვისებების ადამიანია და თან ძალიან მდიდარიც, ასე რომ, ვიღაცის მიცემული ქრთამი ნამდვილად არ შეაცდენდა.

— ე. ზ. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი შეაშფოთა ამ სკანდალმა. თუმცა ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტსა და მის პრეზიდენტს ამდაგვარ ბრალდებებს უყენებენ. რამდენიმე წლის წინათ ორმა ინგლისელმა ჟურნალისტმა სამარანჩის საწინააღმდეგო წიგნი დაწერა, რომელმაც საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია. მის პასუხად სოკის კარის მწერალმა დევიდ მილურმაც გამოსცა წიგნი, რომელშიც ყველა ბრალდება უარყო. ამ სკანდალში კი მარკ ჰოლდერის გამოსვლა მოულოდნელი იყო. რა მოტივებით და რა მიზნებით მოქმედებდა, გაურკვეველია. შეიძლება შეთქმულებასაც კი ჰქონდა ადგილი ვიღაცეების მოშორების მიზნით. მაგალითად, კონგოელი ჟან-კლოდ განგას გაზრდილი ავტორიტეტი ბევრს არ მოსწონდა. აბსოლუტური სიწმინდე სპორტში არ არსებობს, ეს ჩვენ თავზეც გვიწვნევია. უბრალოდ, ამჯერად სოკის შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა სამარანჩის მემკვიდრედ გახდომისთვის და ეს სკანდალიც, ალბათ, ამ დაპირისპირების შედეგია.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ 17-18 მარტის სოკის საგანგებო სხდომაზე სამარანჩს უნდობლობას გამოუცხადებენ?**

— ჯ.ბ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არა. ამისი უამრავი მიზეზი არსებობს. სამარანჩის ახლა წასვლა დიდ არეულობას შეიტანს სოკის საქმიანობაში, თანაც სიდნეის ოლიმპიური თამაშები უკვე კარსაა მომდგარი და ზედმეტი გართულებები არავისთვისაა სასარგებლო. სამარანჩივით, ალბათ, ვერავინ შეძლებს სკანდალის ჩაცხრომას და სოკის საქმეების წარმართვას. ვფიქრობ, პრეზიდენტი 2001-წლამდე თავის თანამდებობაზე დარჩება.

— ე.ზ. სამარანჩს მართალია ბევრი მტერი ჰყავს, მათ შორის დამარცხებული ქალაქები (მაგ: კვებეკი, მანჩესტერი, პეკინი), მაგრამ მის მხარესაც ბევრია. ამ ეტაპზე სამარანჩის წასვლა ნამდვილად დიდი შეცდომა იქნებოდა. მისი ავტორიტეტი და დიპლომატიური ნიჭი ჯერ კიდევ საჭიროა. ალბათ, სოკის წევრების უმრავლესობა პრეზიდენტის წინააღმდეგ არ წავა. თუმცა, მარტამდე შეიძლება კიდევ ბევრ ფაქტს აეხადოს ფარდა და მაშინ კი ყველაფერი მოსალოდნელია. თუ ასე მოხდა, ეს ძალიან მძიმე დარტყმა იქნება მთლიანად ოლიმპიური მოძრაობისთვის.

**— ავსტრალიის ეოკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ღარიბი ქვეყნების ეოკებს გარკვეულ ფინანსურ დახმარებებს უწევდა, რათა სიდნეის ოლიმპიადის მასპინძლობა დაებევებინა. ჩვენც ხომ არ ვიყავით ამ ღარიბი ქვეყნების სიაში?**

— ჯ.ბ. ჩვენი მოქრთამვა ნამდვილად არავის სჭირდება. მასპინძელი ქალაქების არჩევნებში არ ვმონაწილეობთ, ამდენად არც არავინ დაგვხმარებია ამ მიზნით ფინანსურად.

— ე.ზ. არჩევნებში მხოლოდ სოკის წევრები მონაწილეობენ, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს კი ამის უფლება არა აქვთ. ასე რომ, ფულიც არავის შემოუთავაზებია ხმისთვის. სხვათა შორის, ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ არჩევნებში ეოკებიც ჩაერთონ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ისედაც საკმაოდ აბურდულ სიტუაციას უფრო გაართულებს, რადგან მაშინ დაახლოებით 300-320 ამომრჩეველი იქნება. ეს კი არჩევნების ჩატარების სისტემას პრობლემებს მოუმატებს. ისე, თუ ამ იდეამ მაინც გაიმარჯვა, მაშინ იქნებ ჩვენც შემოგვთავაზონ ფინანსური დახმარებები რამე გვეშველოს, — ხუმრობით გვპასუხობს გენერალური მდივანი.

**გაიოზ თალაკვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### წყალბურთი

# მოდი, ვნახოთ პოლონეთი

გუშინ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ ეს შეჯიბრი მზადების კარგი საშუალებაა, მით უფრო, რომ უფულობის გამო სხვა არაფერი ჩანს. ჩვენი ნაკრები მასპინძლებმა მიიწვიეს და მგზავრობის გარდა ყველა ხარჯიც იკისრეს. აი, მგზავრობის თანხა კი სპონსორებისა და ნაწილობრივ მოთამაშეთა საკუთარი ფულით შეგროვდა. ჩვენი ნაკრების ბირთვი ძირითადად იგივეა, თუმცა ამჯერად მის შემადგენლობაში არ იქნებიან ლეგიონერები. რამდენიმე მოთამაშე ახალგაზრდული ნაკრებიდანაც დაიმატეს. გადამდგარი მწვრთნელი გელა ტუკვაძე თენგიზ ივანიშვილმა შეცვალა, ოღონდ მხოლოდ საამტურნიროდ. ვინ დაინიშნება ნაკრების თავკაცად, ჯერაც გაურკვეველია. ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ ამ თურქულ ტურნირში ჩვენებთან ერთად ისპარეზებენ მასპინძლები, ბულგარელები, რუმინელები, სლოვენიელები და პოლონელები. ეს უკანასკნელნი ჩვენი მეტოქეები არიან ზემონახსენებ შესარჩევ ციკლში.

**ირაკლი თავაძე**

### რაგბი

# კეოთხედაც თუ წავაგეთ...

## უელსელების ბედი ქართველთა ხელშია

წესით და რიგით, დღეს ბორჯღალოსანთა „პონტიპრიდთან" თამაშის შედეგს უნდა გამცნობდეთ, მაგრამ მიზეზთა გამო ამის გაკეთება ხვალ მოგვიწევს. საქმე ისაა, რომ უელსში ორ დღეს კოკისპირულად წვიმდა, ამიტომაც ტურნირის ორგანიზატორებს გუშინწინდელი შეხვედრების ერთი დღით გადადება მოუხდათ. ასე რომ, ქართველი მორაგბეები უელსელებს გუშინ იქაური დროით რვის თხუთმეტ წუთზე უნდა დაპირისპირებოდნენ, ჩვენებურად დღევანდელი დღე რომ იწყებოდა.

ქართველთათვის ამ მატჩის მოგება მხოლოდ და მხოლოდ პრესტიჟის საქმეა — ოთხი შეხვედრიდან ოთხივეში დამარცხება, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია, „პონტიპრიდისთვის" კი ამ ორთაბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯგუფიდან გასვლის ყველაზე მეტი შანსი ამ უელსურ კლუბთან ერთად ედინბურგის პროვინციის ნაკრებსაც აქვს. ბოლო ტურში ჯგუფში პირველის ვინაობის გასარკვევად სწორედ ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს. ბორჯღალოსნებთან დამარცხების შემთხვევაში კი უელსელები, ფაქტობრივად, კარგავენ ფინალში გასვლის შესაძლებლობას.

**პაატა თოთაძე**


30 იანვარს, 16 საათზე
„შერატონ მეტეხი პალასში"
გაიმართება საქართველოს
1998 წლის 10 საუკეთესო
სპორტსმენის დაჯილდოების
საზეიმო ცერემონიალი
საგანგებო შოუ-პროგრამით

გაატარეთ საღამო
ქვეყნის უძლიერეს
ათლეტებთან ერთად

ღონისძიების გენერალური
სპონსორია სამორინე „აჭარა"
ბილეთები იყიდება თბილისის სპორტის
სასახლის ბუღალტერიაში
ტელეფონი: 36-34-27


### ჰოკეი

# ბურე ქარიშხალივით ამოვარდა
# უეინს კიდევ შეუძლია

უეინ გრეცკი და პაველ ბურე! ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს სავსებით შესაძლო იყო, ნიუიორკელი მაყურებელი მათი დუეტით, მათი დახვეწილი ოსტატობით დამტკბარიყო. განგებამ სხვაგვარად განსაჯა. ბურე არასდროს მალავდა, რომ „დიადთან" შეწყვილებაზე ოცნებობდა, მაგრამ ფლორიდაში აღმოჩნდა... „რუსულმა რაკეტამ" ახალ კლუბში ფანტასტიკური დებიუტი მოიწყო. 26 იანვარს, უეინ გრეცკის დაბადების დღეს, მან ჰეთ-თრიქი შეასრულა და მრისხანე ფილადელფიასთან შეხვედრაში თავის ახალ კლუბს ქულა გადაურჩინა

26 იანვარი

**ფილადელფია — ფლორიდა 3:3**

2:1 0:0 1:2 0:0

1:0 ლანგკოუ 2'25 (8); 2:0 ჯოუნსი 6'54 (11); 2:1 ბურე 11'53 (4); 2:2 ბურე 45'39 (5); 3:2 დესჟარდენი 46'51 (9); 3:3 ბურე 48'00 (6)

„ნუ გავიწყდებათ, რომ ბურე ჯერ კიდევ არაა ჩვეულ ფორმაში. მოითმინეთ მანამ, სანამ იგი ერთ მატჩში 25 წუთს დაჰყოფს ყინულზე" — ასეთი გახლდათ ფლორიდელთა ერთ-ერთი ლიდერის რეი უიტნის აზრი თავის ახალ პარტნიორზე. რაღა გვეთქმის, თუ ბურე, რომელსაც საკმაო დრო გაუცდა, ასე ამწარებს ზედიზედ მესამე მეკარეს, ცოტა ხანში რაღას იზამს. საშმაბათს მისი მსხვერპლი ამ ბოლო ხანს ჩინებულად მოთამაშე ჯონ ვანბისბრუკი შეიქნა. „ბიზერის" წამება ჯერ კიდევ პირველ პერიოდში დაიწყო, როცა ბურემ დამატებაზე იმარჯვა. მეორედ ფორვარდმა შორიდან დარტყმულ შაიბას ოდნავ შეუცვალა მიმართულება და... მესამე გოლი კი ნამდვილი შედევრი გახლდათ. „რუსულმა რაკეტამ" პასი მეტოქეთა ზონასთან მიიღო, ჩამოიშორა მცველი და სასწაულიც შემდეგ მოხდა — „ბიზერთან" ძალიან ახლოს მყოფ ბურეს თითქოს დარტყმისთვის დრო აღარ რჩებოდა, მაგრამ წამით ადრე, სანამ შაიბა პირით ხაზს გადაკვეთდა, ფორვარდმა ელვისებური მოძრაობით გამოძებნა ადგილი ძელსა და მეკარეს შორის... გაოცებულ „ბიზერს" მხოლოდ ისღა დარჩენოდა, კარიდან შაიბა გამოეტანა.

**ვაშინგტონი — რეინჯერსი 1:4**

1:1 0:0 0:3

0:1 გრეივსი 11'51 (20); 1:1 ოუტსი 18'04 (7); 1:2 შნაიდერი 41'37 (5); 1:3 სუნდსტრიომი 52'34 (9); 1:4 გრეივსი 58'58 (21)

ტამპაში გამართულ „All-Star Game"-ში უძვირფასეს მოთამაშედ აღიარებიდან ორი დღის შემდეგ „დიადმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 1999 წელს 99-ე ნომრის მზე არ უნდა ჩაესვენოს, ჯერ ძალიან ადრეა, უეინს კიდევ შეუძლია, თამაში მარტომ მოიგოს. იმ დღეს 38-ს შესრულებულმა იუბილარმა ისეთი პასები აკეთა, მის პარტნიორებს შაიბის კარში გაგზავნის მეტი აღარაფერი სჭირდებოდათ. ასე რომ, სახელოვანმა ფორვარდმა ყველა ღონე იხმარა, რათა 26 იანვარს თავისი ბენეფისი მოეწყო, მაგრამ სამი პასი ხომ სამი გოლი მაინც არაა და იმ დღის გმირიც ბურე გახდა.

**ბუფალო — ფინიქსი 1:1**

0:1 0:0 1:0 0:0

0:1 ტკაჩუკი 7'50 (18); 1:1 ბრაუნი 50' 34 (12)

**აილენდერსი — ბოსტონი 4:1**

2:0 2:1 0:0

1:0 რაიხელი 5'42 (12); 2:0 სმოლინსკი 6'22 (9); 3:0 რაიხელი 22'01 (13); 4:0 პალფი 34'33 (4); 4:1 ტეილორი 39'17 (3)

აილენდერსის ახალი მწვრთნელი ბილ სტიუარტი იღბლიანი კაცი ყოფილა — როგორც კი დაინიშნა, მაშინვე შეწყდა „კუნძულელთა" 11-მატჩიანი წარუმატებელი სერია. მისი ხელმძღვანელობით ნიუიორკელებმა ორივე თამაში მოიგეს. საინტერესოა, რომ ახალმა მწვრთნელმა კვლავ დააბრუნა კარში ტომი სალო, რომელიც ყოფილმა თავკაცმა მაიკ მილბერიმ ფელიქს პოტვინის მისვლის შემდეგ სათადარიგოებში გადაიყვანა.

**პიტსბურგი — კაროლინა 3:5**

0:0 0:4 3:1

0:1 შეპარდი 24'30 (16); 0:2 კოფი 27'56 (1); 0:3 შეპარდი 30'31 (17); 0:4 კაპანენი 33'51 (14); 1:4 ჰრდინა 43'21 (6); 1:5 რანჰეიმი 47'02 (4); 2:5 მილერი 52'39 (4); 3:5 კასპარაიტისი 59'11 (1)

მატჩის ბედი პირველი პერიოდის მიწურულსვე გადაწყდა, როცა პიტსბურგის კართან ბრძოლისას კაროლინელი კევინ დაინინის ყვანჯი მეტოქის მეკარე ტომი ბარასოს მოხვდა თავში და სერიოზულად დააშავა. მეორე პერიოდში მის ნაცვლად გამოსულ პეტერ სკუდრას კი სტუმრებმა გონს მოსვლა არ აცალეს და ათ წუთში სამი შაიბა შეუგდეს. ერთ-ერთი მათგანი სახელოვანი პოლ კოფის ანგარიშზეა, რომელსაც 1997 წლის ნოემბრიდან გოლი არ გაუტანია.

**სან ხოსე — სენტ ლუისი 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 იანგი 37'06 (8); 0:2 ტარჯონი 39'38 (12); 0:3 კონროი 59'43 (6)

სენტ ლუისის მეკარე რიჩ პარენტმა ნჰლ-ში თავისი დებიუტი ჩინებული თამაშითა და შათაუტით აღნიშნა.

**ნეშვილი — დეტროიტი 1:4**

1:2 0:1 0:1

0:1 ლაპოინტი 1'07 (10); 0:2 ფიოდოროვი 2'24 (12); 1:2 ბრიუნეტი 19'59 (8); 1:3 კოზლოვი 37'34 (10); 1:4 მერფი 59'58 (8)

**ნიუ ჯერსი — ოტავა 4:1**

2:0 2:1 0:0

1:0 პანდოლფო 13'31 (11); 2:0 მორისონი 18'21 (6); 3:0 როლსტონი 24'58 (13); 4:0 შარიფიანოვი 38'12 (8); 4:1 მაკიჩერნი 39'12 (22)

**ტამპა — მონრეალი 1:2**

0:0 0:2 1:0

0:1 რუჩინსკი 31'16 (10); 0:2 რუჩინსკი 33'58 (11); 1:2 პოუგი 53'42 (13)

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ფილადელფიადან

აწ უკვე ფლორიდელთა სუპერფორვარდმა პაველ ბურემ ფილადელფიელთა ნაქები მეკარე ჯონ ვანბისბრუკი შავ დღეში ჩააგდო




REUTERS ვაშინგტონიდან

გულშემატკივრები დაბადების დღეს ულოცავენ უეინ გრეცკის

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 46 | 27 | 3 | 16 | 152:133 | 57 |
| ოტავა | 46 | 25 | 6 | 15 | 134:105 | 56 |
| ბუფალო | 44 | 23 | 8 | 13 | 120:87 | 54 |
| ბოსტონი | 44 | 20 | 7 | 17 | 117:101 | 47 |
| მონრეალი | 47 | 18 | 8 | 21 | 108:121 | 44 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 45 | 24 | 11 | 10 | 138:90 | 59 |
| ნიუ ჯერსი | 45 | 26 | 5 | 14 | 133:118 | 57 |
| პიტსბურგი | 42 | 20 | 7 | 15 | 125:118 | 47 |
| რეინჯერსი | 46 | 18 | 7 | 21 | 121:125 | 43 |
| აილენდერსი | 47 | 15 | 3 | 29 | 110:137 | 33 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 47 | 24 | 3 | 20 | 139:123 | 51 |
| სენტ ლუისი | 43 | 17 | 9 | 17 | 114:108 | 43 |
| ნეშვილი | 46 | 16 | 4 | 26 | 105:147 | 36 |
| ჩიკაგო | 45 | 13 | 7 | 25 | 97:138 | 33 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 46 | 21 | 7 | 18 | 121:115 | 49 |
| ფლორიდა | 45 | 17 | 12 | 16 | 113:118 | 46 |
| ვაშინგტონი | 44 | 16 | 4 | 24 | 101:117 | 36 |
| ტამპა | 46 | 11 | 4 | 31 | 95:156 | 26 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 43 | 27 | 7 | 9 | 127:89 | 61 |
| ფინიქსი | 43 | 24 | 8 | 11 | 114:88 | 56 |
| ანაჰაიმი | 45 | 17 | 9 | 19 | 113:108 | 43 |
| სან ხოსე | 46 | 15 | 12 | 19 | 105:109 | 42 |
| ლოს ანჯელესი | 45 | 16 | 4 | 25 | 106:121 | 36 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 45 | 22 | 4 | 19 | 114:113 | 48 |
| ედმონტონი | 44 | 18 | 7 | 19 | 126:116 | 43 |
| ვანკუვერი | 45 | 15 | 6 | 24 | 115:135 | 36 |
| კალგარი | 46 | 15 | 4 | 27 | 112:139 | 34 |

## კვირის მოთამაშე

### პოლ კარია (ანაჰაიმი)



გასულ კვირას პოლ კარიაზე არანაკლებ კოლორადოელმა ჯო საკიკმაც გამოიჩინა თავი, რომლის ძალისხმევითაც „ეველანშმა" ხუთ მატჩამდე გაზარდა თავისი იღბლიანი სერია (თავად საკიკმა ლოს ანჯელესთან და კალგარისთან დუბლები მიითვალა), მაგრამ ბოლოს სიმპათიები მაინც ანაჰაიმელისკენ გადაიხარა. ეს „ALL STAR GAME"-ში მონაწილეობამ და შაიბის ფლობაში კონკურსის მოგებამ განაპირობა, მაშინ, როცა საკიკი გაუგებარი მიზეზების გამო ამ შოუს მიღმა დარჩა. აღსანიშნავია, რომ კარია მეორედ გახდა კვირის ლაურეატი (პირველად ნოემბერში დაასახელეს).

**კვირის საუკეთესო ექვსეული**

*მარტინ ბროდო* (ნიუ ჯერსი, 1); *ლაიალ ოდელეინი* (ნიუ ჯერსი, 1) — *ბრაიან ბერარი* (ტორონტო, 1); *ჯო საკიკი* (კოლორადო, 2) — *პოლ კარია* (ანაჰაიმი, 4) — *პაველ ბურე* (ვანკუვერი, 1)

ეროვნული ბიბლიოთეკა





REUTERS სენტ ლუისიდან




# პაპმა სპორტი დაამწყალობა

რომის პაპი იოანე პავლე მეორე, რომელიც უკვე 78 წლისა მოყრილა, ამერიკაში მოგზაურობს და ძალადობისა და რასიზმის წინააღმდეგ ქადაგებს. რომის პაპი, აგრეთვე გამოდის აბორტის წინააღმდეგ, რასაც „კულტურულ მკვლელობას" უწოდებს.

მრავალათასიან მრევლთან ერთად პაპს სპორტული ამერიკაც ეგებება. ქალაქ სენტ ლუისში იოანე პავლე მეორეს შეხვდნენ კეტბურთელები და ჰოკეისტები. დღევანდელობის საუკეთესო კეტბურთელი მარკ მაკგვაიერი ხელზე ემთხვია პაპს, „ბლუზის" მოთამაშეებმა კი ყვანჯი და მაისურა აჩუქეს.

# სიხარულიძემ ქალი დაკარგა

გუშინწინ პრაღაში ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ჩეხეთის დედაქალაქში ქართველი ფიგურისტებიც ასპარეზობენ. კაცთა შეჯიბრში ვახტანგ მურვანიძემ მე-20 ადგილი დაიკავა და ფინალურ ეტაპზე გამოსვლაც გაინაღდა. ქალებში კი სალომე ჩიგოგიძე A ჯგუფში ბოლოსწინა, მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა.

გვარით ქართველს, რუსეთის სახელით მოსრიალე ანტონ სიხარულიძეს, რომელსაც სპორტულ წყვილებში ელენა ბერეჟნაიასთან ერთად ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად მიიჩნევდნენ, იღბალმა ზურგი შეაქცია, უფრო სწორად კი, ანტონი ელენამ დაალალატა. პირველ დღეს ჩინებულად ასპარეზობის მერე ბერეჟნაიას სურდო შეჰყრია და ყინულზე სრიალზეც უარი უთქვამს.

ცეკვებში რუსების, ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსიანიკოვის (ფოტოზე) წყვილი ლიდერობს და ევროპის ჩემპიონობასაც ალბათ არავის დაანებებენ.

REUTERS ტორონტოდან



# აურზაური ტორონტოში

უწესრიგობა მარტო ჩვენს ქვეყანაში როდი ხდება. აგერ 26 იანვარს შორეული კანადის ქალაქ ტორონტოში ლოკაუტის გამო კალათბურთის აგრერიგად დანატრებული უბილეთო ქომაგები, რომელთა რიცხვი სამ ათას აღწევდა, საკალთბურთო დარბაზ SKY DOME-ში შეიჭრნენ, თუმცა იქ გასახარი ვერაფერი ნახეს. საჩვენებელ მატჩში ტორონტოს ნასტუმრებმა „ბოსტონ სელტიქსმა" აქაური „რეპტორზი" 106:88 გააბითურა.

REUTERS პრაღიდან



# მორბენლები პოდიუმზე კოპწიაობენ

*ბრიტანეთის ხელახლა დაარსებულმა ათლეტთა ორგანიზაციამ რიხით დაიწყო მოღვაწეობა. ამასწინათ, ლონდონში სპორტული მოდის ჩვენებაც გამართა და გამოჩენილი მძლეოსნები პოდიუმზე გამოიყვანა. ფოტოზე აღბეჭდილია, რაგვარი ლაღი ცეკვით ეჩვენება პუბლიკას საშუალო დისტანციებზე მორბენალი ინგლისელი კელი ჰოლმსი.*

REUTERS ლონდონიდან



# წყალი, წყალი!

ზამთრის თბილისისგან განსხვავებით, ავსტრალიაში ამჟამად ძალიან ცხელა და მელბურნში მიმდინარე დიდი სლემის ტურნირზეც პაპანაქებამ ჩოგბურთელები გვარიანად შეაწუხა. აი, მარტინა ჰინგისთან შეხვედრაში ფრანგი მარი პირსიც პირდაპირ კორტის პირას გაგრილდა ცივი წყლით.

REUTERS მელბურნიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29